პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 224 (5025) | ხუთშაბათი, 30 სექტემბერი 1937 წ. | ფასი 10 კაპ.

აჭარის ასსრ უზენაესმა სასამართლომ შეასრულა მშრომელი ხალხის ნება-სურვილი. სოციალისტური სამშობლოს გამყიდველები, ხალხის უსაზიზღრესი მტრები, ფაშიზმის პირსისხლიანი აგენტები გასრესილი არიან.

გადაჭრით გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე!

რკინის კედლად გარსშემოვერტყათ ხალხთა საყვარელ ბელადს, მამას, მასწავლებელს დიდ სტალინს!

მაღლა გვეჭიროს სოციალიზმის ძლევამოსილი დროშა!

ხალხი ესალმება სასამართლოს განაჩენს

28 სექტემბერს ქ. ბათუმში დამთავრდა აჭარის სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა სასამართლო პროცესი. სასამართლომ გამოიტანა თავისი განაჩენი ხალხის უბოროტესი მტრების — ზ. ლორთქიფანიძის, ჯ. ქიქავას, გ. რამიშვილის, ი. მეგრელიძის, გ. ლალიძის, ქ. ბასილაძის, ს. ბეჟანიძის, ი. რომანაძის დახვრეტის შესახებ. მკვლელთა და ყაჩაღთა მიმართ ხალხის მრისხანება უსაზღვროა. მშრომელთა გულისწყრომას შიემატა ახალი გრძნობა — განაჩენით უღრმესი კმაყოფილების გრძნობა. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი — მოვსპოთ გაცოფებული ძაღლები, ფაშიზმის მისყიდული აგენტები — ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა. მშრომელ ხალხს კარგად ესმის, რომ გამცემლებთან, ხალხის მტრებთან მხოლოდ ტყვიის ენით შეიძლება ლაპარაკი. მთელი ხალხი სასამართლოსაგან მხოლოდ ასეთ გადაწყვეტილებას მოელოდა.

სასამართლო პროცესმა აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილეთა მიერ სამშობლოს ღალატის შემაძრწუნებელი სურათი გამოააშკარავა. ხალხის მოსისხლე მტრები, ზნედაცემული არამზადები, სოციალიზმის მიღწევებით გაბოროტებულნი, ჯაშუშობას, დივერსიასა და მავნებლობას ეწეოდნენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ინდუსტრიალიზაციის პირმშო ფაბრიკა-ქარხნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დასანგრევად.

ხალხის მტრები, ფაშიზმის ქოფაკები დაძრწოდნენ კოლმეურნეობებში, რათა ძირი გამოეთხარნათ აჭარის გლეხობის შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის. ჩაის, ციტრუსებს, თამბაქოს და სხვა ძვირფას ტექნიკურ და სპეციალურ კულტურებს, რომელთაც კოლმეურნეობათა უდიდესი ზრდისა და კულტურული აყვავების შესაძლებლობა შექმნეს, ისინი გამუდმებით ზიანს აყენებდნენ და განადგურებას უქადდნენ. შარა-გზის ყაჩაღებმა, ტროცკისტ-მემარჯვენე კონტრრევოლუციონერმა არამზადებმა აჭარის კოლმეურნეობებს დაუხოცეს 500 სული მსხვილფეხა საქონელი, 1.500 ცხვარი, გაახმეს ციტრუსოვანთა 600 ათასი ნარგავი, 13 ათასი ძირი ევკალიპტის ხე, გააფუჭეს 40 ტონა ჩაის ფოთოლი და სხვ. საკოლმეურნეო ცხოვრების კანონის — სტალინური წესდების — ბოროტად დამახინჯება, კოლმეურნეობებში საკარმიდამო მიწების გამოყოფის განზრახ არევ-დარევა, საბჭოთა საგადასახადო და სავაჭრო პოლიტიკის დარღვევა, კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ გლეხთა შევიწროვება — აი რა მუხანათურ გზას ადგნენ ეს შხამიანი გველები იმისათვის, რომ მშრომელებში საბჭოთა ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება დაენერგათ.

აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მონაწილენი, სამგზის უსაზიზღრესი არამზადები უცხოეთის დაზვერვისა და საქართველოს ფაშისტურ - ტროცკისტულ-მემარჯვენეთა ორგანიზაციის პირდაპირი დავალებით ეწეოდნენ ჯაშუშობას, რათა შეერყიათ საბჭოთა კავშირის თავდაცვა, რათა ზიანი მიეყენებინათ გმირული წითელი არმიისათვის. უცხოეთის დაზვერვა დიდძალი თანხებით ამარაგებდა ამ ქოფაკებს. ლირა, დოლარი, უცხოეთის და საბჭოთა კავშირის ვალუტა ჩახჩხრიალებდა არამზადების ჯიბეებში. სახელმწიფო დოვლათის განიავება, საკოლმეურნეო ქონების დატაცება - გაქურდვა ამ არამზადებმა თავიანთ საქმედ გაიხადეს.

აჭარის სააჯანყებო, ჯაშუშურ-დივერსიული, ფაშისტურ - ტერორისტული კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაცია შავბნელ მიზნებს ისახავდა. მას უნდოდა მშვენიერი და ბედნიერი საბჭოთა აჭარა მოეწყვიტა დიდი საბჭოთა კავშირისაგან და გადაექცია იგი უცხოეთის იმპერიალისტ ყაჩაღების, ბეგებისა და მოლების სათარეშოდ.

ფაშიზმის ქოფაკებმა სოციალიზმის მოწინავე ადამიანების მკვლელობის მომზადებასთან ერთად ცინიკური გულგრილობით მუშათა და გლეხთა ბავშვების დახოცვასაც მიჰყვეს ბინძური ხელი. ისინი განზრახ ავრცელებდნენ ეპიდემიას, შლიდნენ საავადმყოფოების, საბავშვო კერებისა და საექიმო პუნქტების მუშაობას.

მთელი საქართველოს ყველა მშრომელთა გულში უდიდეს აღშფოთებას იწვევს ტროცკისტ არამზადათა ფაშისტური ბანდის შავი ზრახვა, რაც გამოიხატა ტერორისტული თავდასხმის მომზადებაში საქართველოს ბოლშევიკების, ქართველი მშრომელი ხალხის მებრძოლი ხელმძღვანელის, დიდი სტალინის ერთგული მოწაფის ამხ. ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ.

დიადმა კომუნისტურმა პარტიამ ყოფილი რუსეთის იმპერიის სხვა ერებთან ერთად გაანთავისუფლა დაბეჩავებული აჭარის ხალხიც, რომელიც მენშევიკების ბატონობის დროს სულს ღაფავდა მემამულეების, ბეგების, კულაკების, მექრთამე მოხელეების, გვარდიელ - მაუზერისტების აუტანელ უღელქვეშ. ლენინ-სტალინის ნაცადმა ნაციონალურმა პოლიტიკამ გაიმარჯვა მუშათა კლასის ურიცხვი მტრების წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის ერების თანასწორუფლებიანობა, მათი ურყევი ძმური კავშირი და თანამშრომლობა ოქროს ასოებით ჩაწერილია საბჭოთა კავშირის სტალინურ კონსტიტუციაში.

აჭარის ფაშისტ-ტროცკისტ არამზადათა პროცესმა კლასობრივი ბრძოლის თვალსაჩინო გაკვეთილი მოგვცა, საბრალდებულო სკამზე იჯდა ცბიერი, საშიში მტერი, რომელიც ცდილობდა გამოეყენებინა ყოველი ხვრელი თავისი ბოროტი ზრახვების განსახორციელებლად. ტროცკისტმა ავაზაკებმა, ისარგებლეს რა აჭარის პარტიული ორგანიზაციის, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკების დანაშაულებრივი დოყლაპიობით და უდარდელობით, შესძლეს ოსტატურად შენიღბვით ხელმძღვანელ პოსტებზე გაძვრომა და ჯაშუშური და მავნებლური მოქმედების მოხერხებულად გატარება. მაგრამ ანგარიშში მოსტყუვდნენ. მუშათა კლასის დიქტატურის ფხიზელი თვალი — შინსახკომის ორგანოებმა ვერაგ მტერს დანაშაულზე წაასწრეს და მათი გველური სისინი აღკვეთეს.

საბჭოთა სასამართლომ გამოიტანა თავისი სამართლიანი განაჩენი. ვერაგი და მუხანათი მტერი გასრესილია.

დაე იცოდეს ყველამ, ვისაც კი დარჩენია იმედი შეარყიოს საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება, რომ ხალხის მტრებს — ტერორისტებს, ჯაშუშებს, მავნებლებს, ელის მხოლოდ ერთი რამ — სიკვდილი. მტრები გამოაშკარავებულნი და დაუნდობლად გასრესილნი იქნებიან.

დღითიდღე იზრდება და მტკიცდება სოციალიზმის ქვეყანა. ურყევია საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა. საბჭოთა კავშირის ერები, მჭიდროდ შეკავშირებულნი, ახალი გამარჯვებებით ხვდებიან დიადი ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავს. უსაზღვროა საბჭოთა საქართველოს და საბჭოთა აჭარის ხალხთა სიყვარული და ერთგულება კომუნისტური პარტიისა და მშობლიური, საყვარელი დიდი სტალინისადმი. აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის, ფაშისტურ დაზვერვათა აგენტების, ტროცკისტულ - მემარჯვენე კონტრრევოლუციონერთა განადგურების შემდეგ, კიდევ უფრო საამური გახდა საბჭოთა მიწაზე ცხოვრება, კიდევ უფრო მხიარულად ახმაურდებიან ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, კიდევ უფრო სწრაფად გამრავლდებიან მუშათა და გლეხთა სტახანოვური რეკორდები სოციალიზმის ახალ მიღწევათა მოსაპოვებლად. სპობს და ანადგურებს რა ფაშიზმის მოსყიდულ ქოფაკებს, ანტისაბჭოთა ელემენტების გაბოროტებულ ნაშთებს, საქართველოს მშრომელი ხალხი კიდევ უფრო აძლიერებს თავის რევოლუციურ სიფხიზლეს. მსოფლიოში არ არსებობს არავითარი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს სოციალისტური რევოლუციის სწრაფმავალი ლოკომოტივი. ბედნიერი საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით შეუდრკად მიდის წინ კომუნიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ!

საქართველოს მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ სასამართლოს განაჩენს

ხალხის განაჩენი

გუშინ დილით თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის საამქრო, სამჭედლო, საბარგო და სამგზავრო ვაგონთა საამქროების რამდენიმე ასეული მუშა გაეცნო აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს განაჩენს აჭარის კონტრრევოლუციური საააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის წევრთა მიმართ.

მუშათა მრავალრიცხოვანი კრება უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა განაჩენს.

მიტინგზე გამოსული ამხანაგები — პეტრე ვოიჩაკი, ალ. ჩაჩავა, გ. ელიკაშვილი, ნ. ინჩაგოვი, სამსონია და სხვები ამბობდნენ: სასამართლომ შეასრულა ხალხის ნება-სურვილი, მან სავსებით კანონიერი განაჩენი გამოიტანა ხალხის უბოროტეს მტერთა მიმართ, ჩვენ მივესალმებით სასამართლოს განაჩენს.

ქარხნის მუშები მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში სწერენ: მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურენი უდიდესი კმაყოფილებით ვეგებებით აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს მიერ გამოტანილ განაჩენს აჭარის კონტრრევოლუციური საააჯანყებო ორგანიზაციის წევრების მიმართ.

მშრომელი ხალხის ბოროტ მტრებს, სამგზის წყეულებს — ლორთქიფანიძეს, რამიშვილს, მეგრელიძეს და სხვებს სასამართლომ საკადრისი მიუზღო.

ცოფიან ძაღლებს ძაღლური სიკვდილი!

ჩვენ არავის და არასოდეს არ მივცემთ უფლებას გაჰყიდოს ჩვენი აყვავებული სოციალისტური სამშობლო, საშუალებას არ მივცემთ უსაზიზღრეს მტრებს ხელი წაუპოტინონ ჩვენს ბედნიერ ქვეყანას!

გავაცამტვერებთ სოციალიზმის მტრებს, გავამაგრებთ საბჭოთა კავშირის სიძლიერეს და საწარმოო მაჩვენებელთა ამაღლებით გავამრავლებთ კომუნიზმის წარმატებებს!

ქვენარმავალნი გასრესილი არიან

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ თბილისის ტრამვაის მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკოსები ცნობას, რომ აჭარის ასსრ უზენაესმა სასამართლომ ხალხის მტრებს, ჯაშუშებს, დივერსანტ-მავნებლებს, ფაშიზმის აგენტებს, საზიზღარ ზ. ლორთქიფანიძეს, გ. რამიშვილს, ი. მეგრელიძეს და მათ თანამზრახველებს სოციალისტური სამშობლოს ღალატისათვის მიუსაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

600-ზე მეტი კაცი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ტრამვაის მუშა - მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა მიტინგზე, ერთსულოვნად მიესალმა სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები. სტახანოველმა მუშებმა — ამხ. ჯავახოვმა, თეთრიაშვილმა, ხარშილაძემ, ს. ხასიევმა, ახალგაზრდა ორდენოსანმა მუშამ ამხ. სეფერთელაძემ და სხვებმა ზიზღით მოიხსენიეს გარეწრები, სოციალისტური სამშობლოს მოღალატენი და მხურვალედ მიესალმნენ აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს განაჩენს ფაშისტ ქოფაკების დახვრეტის შესახებ.

— ღალატი, უბოროტესი მტრობა და მავნებლობა... მკვლელობა, ძარცვა და მუხანათობა — აი აჭარის კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ბანდის შავბნელი მუშაობის მეთოდი და გზა. სიკვდილი, ძაღლური სიკვდილი მათ! — ასეთია მთელი ხალხის განაჩენი, — აცხადებდნენ ორატორები.

— მათ ძაღლური სიკვდილის მეტი არაფერი დაუმსახურებიათ. არამზადები, რომელთაც გული შხამით აუვსიათ, ხალხის ღალატი ხელობად გაუხდიათ, მკვლელობა და ძარცვა მიზნად დაუსახავთ, და მათი ნაბოლარები უნდა აღიგავონ პირისაგან მიწისა! — დაასრულა თავისი სიტყვა ორდენოსანმა სტახანოველმა მუშამ ამხ. სეფერთელაძემ.

რეზოლუციაში, რომელიც ერთხმად მიღებულ იქნა მიტინგზე, ნათქვამია: **ერთსულოვნად ვიწონებთ სასამართლოს განაჩენს ხალხის მტრების, შხამიანი გველების დახვრეტის შესახებ!**

ახალ-ახალი მიღწევებით, ბრწყინვალე გამარჯვებებით ვუპასუხებთ ხალხის მტრების თვითეულ ვერაგულ გამცემლურ მოქმედებას, კიდევ უფრო მჭიდროდ დავრაზმავთ ჩვენს რიგებს ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ!

სიკვდილი სამშობლოს გამყიდველებს

თბილისის კუდრიავცევის სახელობის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა - მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგზე ფაბრიკის მთელი კოლექტივი აღფრთოვანებითა და უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა სასამართლოს განაჩენს ხალხის მტრების, ჯაშუშ - დივერსანტების — ზ. ლორთქიფანიძის, ჯ. ქიქავას, გ. რამიშვილის და სხვათა დახვრეტის შესახებ.

ხალხის უსაზიზღრესი მტრები — ამბობს სტახანოველი ევგენია არუთინოვა — ფაშიზმის ცოფიანი ძაღლები — ლორთქიფანიძე, რამიშვილი და სხვები მიზნად ისახავდნენ მშრომელთა აწიოკებას, აყვავებული აჭარის გაყიდვას. უსაზღვროთ მიხარიან, რომ მათ თავიანთი სისხლით ვაგებინეთ პასუხი. სასამართლოს განაჩენი ხალხის განაჩენია.

ჯაშუშ - დივერსანტები, საზიზღარი გველის წიწილები — ამბობს ინჟინერი გიორგი ძოლონაძე — ლენინ - სტალინის პარტიის ერთგული შვილის ამხ. ლ. ბერიას მოკვლას ამზადებდნენ. სასამართლომ შეასრულა მშრომელთა ნებასურვილი. ცოფიანი ძაღლები დაიხვრიტენ.

იცოდეს ყველამ, — სთქვა იოლაშვილმა, რომ ვინც კი გაბედავს ხელი შეახოს სოციალისტურ სახელმწიფოს, ვინც კი შეეცდება წაბილწოს სოციალისტური სამშობლო, დაუყოვნებლივ აღიგვება პირისაგან მიწისა.

ცოფიანმა ძაღლებმა ღირსეული სასჯელი მიიღეს

თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ - ტექნიკოსთა პერსონალი უდიდესი აღტაცებით შეხვდნენ აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც ტროცკისტ-დივერსანტებს, ჯაშუშმავნებლებს, ხალხის მოსისხლე მტრებს, ცოფიან ძაღლებს — ზ. ლორთქიფანიძეს, გ. რამიშვილს, ჯ. ქიქავას და სხვებს მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა.

მუშა სტახანოველებმა ამხ. ბაბახჩიანმა, ორახელაშვილმა, კიკვაძემ და სხვებმა ერთსულოვნად მოიწონეს სასამართლოს განაჩენი და მოუწოდეს ფაბრიკის ყველა მუშებს, — მტრების საპასუხოდ კიდევ უფრო ენერგიულად ჩაებან წინასაოქტომბრო ლაშქრობაში, რათა დიადი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ოცი წლისთავისათვის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულონ წლიური საწარმოო - საფინანსო გეგმა.

სასამართლომ შეასრულა ჩვენი მოთხოვნა

26 კომისრის სახელობის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა სასამართლოს განაჩენს.

— სასამართლომ შეასრულა საქართველოს მშრომელთა მოთხოვნა, — განაცხადა ს. ჰოხონელიძემ, — ცოფიანი ძაღლები, ხალხის უბოროტესი მტრები — ზ. ლორთქიფანიძე, ჯ. ქიქავა, გ. რამიშვილი, ი. მეგრელიძე, გ. ლალიძე, ქ. ბასილაძე, ს. ბეჟანიძე და ო. რომანაძე პროლეტარული რკინის ქუსლით გაისრისნენ, ისინი დახვრეტილი არიან. აღტაცებული ვართ სასამართლოს გადაწყვეტილებით. ეს განაჩენი ჩვენი განაჩენია — ჩვენი ნება-სურვილი.

ხალხის უბოროტესი მტრების — კონტრრევოლუციონერ ჯაშუშ-დივერსანტების მიმართ მხოლოდ ტყვიის ენით შეიძლება ლაპარაკი, — ამბობს გ. მახარაშვილი. უსაზღვრო სიხარულს განვიცდი იმის გამო, რომ სასამართლომ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა, ხალხის მოთხოვნა და გაცოფებულ ქოფაკებს დამსახურებული განაჩენი გამოუტანა.

ჩვენ, 26 კომისრის სახელობის ქარხნის მთელი კოლექტივი, — ნათქვამია ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, — უდიდესი აღფრთოვანების გრძნობას განვიცდით სასამართლოს ბოლშევიკური გადაწყვეტილების გამო. კონტრრევოლუციონერ ჯაშუშ - ბანდიტთა საპასუხოდ გავაძლიერებთ შემტევ რევოლუციურ სიფხიზლეს, ფართოდ დავნერგავთ სტახანოვურ მოძრაობას, გადაჭარბებით შევასრულებთ საწარმოო გეგმებს, ფოლადის რკალად შემოვერტყმით სოციალისტურ სამშობლოს და უზრუნველვყოფთ ახალ-ახალ წარმატებებს.

მხურვალედ ვესალმებით სასამართლოს განაჩენს

ჩვენი ქვეყნის ყოველი პატიოსანი მოქალაქე უდიდესი კმაყოფილების გრძნობით შეხვდა განაჩენს, რომელიც, მშრომელი ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნით, საბჭოთა სასამართლომ გამოუტანა სახელოვანი შინსახკომის მიერ გამომჟღავნებულ ჯაშუშ-დივერსანტთა და სამშობლოს გამყიდველთა საზიზღარ ხროვას.

ძირიანად ამოვაგდოთ ჩვენს ბედნიერ სამშობლოში აქა-იქ კიდევ ჩარჩენილი გველის სოროები, ფხიზლად და მტკიცედ ვიდგეთ ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეების სადარაჯოზე.

ილო მოსაშვილი

ო

მშრომელთა სამსჯავროს წინაშე წარსდგნენ შინსახკომის ორგანოების მიერ გამომჟღავნებული უსაზიზღრესი მტრები საბჭოთა ხალხისა, დივერსანტები, ჯაშუშები, კაცისმკვლელები, რომლებიც ცდილობდნენ დაენგრიათ ჩვენი ბედნიერი ცხოვრება. ზექერია ლორთქიფანიძემ, გ. რამიშვილმა, ლალიძემ და მათმა მსგავსმა ქვეწარმავლებმა მიიღეს საკადრისი სასჯელი — ქართველი მშრომელი ხალხის რისხვა — დახვრეტა.

მთელი საქართველოს მშრომელი ხალხი ერთსულოვნად აწერს ხელს ჩვენი ქვეყნის სიძლიერისა და შეუვალობის განმტკიცების აქტს. **ჩვენი საყვარელი ბელადის დიდი სტალინის და მისი ერთგული მოწაფის, ქართველი ხალხის ბედნიერი ცხოვრების ხელმძღვანელის ამხ. ლავრენტი ბერიას გარშემო დარაზმული მასების სიმტკიცე ურყევია.**

ჩვენი ქვეყნის სიძლიერე და სიფხიზლე თავდებია იმისა, რომ ხალხის მტერი ყოველთვის ასე დაუნდობლად გაისრისება.

ირაკლი აბაშიძე

ო

პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტები, მავნებლები, დივერსანტები, ჯაშუშები ლამობდნენ ჩვენი ღვიძლი საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ლამობდნენ მოძმე აჭარის საბჭოთა კავშირიდან გამოთიშვას. მშრომელთა სისხლითა და ოფლით მონაპოვარ სოციალისტურ გამარჯვებათა განადგურებას, მაგრამ არ დასცალდათ! ზიზღი ბანდიტ წუნკლებს! ღვთვეულ იქნას მათი სამგზის საზიზღარი სახელები ჩვენი ხსოვნიდან, რომ ისინი შეურაცხყოფას არ აყენებდნენ ადამიანურ გრძნობებს.

ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით კომუნისტური პარტიისა, მშრომელი კაცობრიობის ბელადის — ამხანაგ სტალინისა და ქართველი მშრომელი ხალხის რკინისებური ხელმძღვანელის — ამხანაგ ლავრენტი ბერიას ირგვლივ.

დემნა შენგელაია.

ო

საბჭოთა აჭარა, დაჩაგრული და დამცირებული ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის დროს, აყვავდა და გაიფურჩქნა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. ხალხის მტრები, საზიზღარი დივერსანტები ჯაშუშები და მოღალატეები — ზ. ლორთქიფანიძე, ჯ. ქიქავა, გ. რამიშვილი, გ. ლალიძე და მათი დამქაშები ამაოდ ცდილობდნენ წაერთმიათ მშრომელი აჭარისათვის მისი მიღწევები და აღედგინათ შავბნელი წარსული. ხალხმა ღირსეული სასჯელი მიუსაჯა თავის მტრებს და **ჩვენ, საბჭოთა მწერლები, ალსავსენი ზიზღითა და აღშფოთებით მოღალატეებისადმი, აღფრთოვანებით ვესალმებით სამართლიან განაჩენს რათა სამუდამოდ მოსპობილ იქნას ხალხის დაუძინებელი მტრები — ტროცკისტი გარეწრები, რომელნიც ვერაფერს დააკლებენ ჩვენს ბედნიერ შემოქმედებითს ცხოვრებას, დიდი სტალინის გენიით აღორძინებულს.**

ვალერიან გაფრინდაშვილი

ო

ამ რამდენიმე დღეში ჩვენს წინაშე გადაიშალა საზიზღარ ჯაშუშთა და დივერსანტთა საქმიანობის ამაზრზენი სურათი. სამშობლოს გამყიდველები — ზ. ლორთქიფანიძე, გ. ლალიძე, გ. რამიშვილი და სხვები გამოაშკარავებულ იქმნენ და წარსდგნენ ხალხის სამსჯავროს წინაშე. სასამართლომ გამოხატა ხალხის ნება-სურვილი, და ყოველი ჩვენგანი უდიდესი კმაყოფილებით და სიხარულით ხელს აწერს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს. ეს განაჩენი დაწერილია საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხების მიერ და გამომხატველი ხალხის ნებაყოფისა და მისი სურვილისა.

დაე, ალიგავონ საზიზღარი გამცემლები და მალე გაიწმინდოს საყვარელი საბჭოთა სამშობლო შხამიან ქვეწარმავალთაგან.

სიმონ ჩიქოვანი

ვიყოთ კიდევ უფრო ფხიზელი

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხნის მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკოსი მუშაკები ერთსულოვნად იწონებენ აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს განაჩენს აჭარის კონტრრევოლუციური საააჯანყებო, ჯაშუშურ - ტერორისტული, დივერსიულ -მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა — ზექერია ლორთქიფანიძის, ჯემალ ქიქავას, გიორგი რამიშვილის, ილიას მეგრელიძის და სხვათა მიმართ.

„ცოფიანი ძაღლები, შარაგზის ეს პირსისხლიანი ყაჩაღები, — ნათქვამია მიტინგზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში, — ცდილობდნენ შეეფერხებინათ აჭარის მშრომელი მასების სწრაფი წინსვლა, კაპიტალისტებისათვის მიეყიდნათ ბედნიერი აჭარა, კაპიტალიზმის მძიმე უღელი დაედგათ აჭარის თავისუფალი ხალხისათვის. კონტრრევოლუციური ფაშისტური ბანდა, ცდილობდა დაენგრია კოლმეურნეობები და მრეწველობის გიგანტები. მაგრამ ეს გარეწრები ანგარიშში მოსტყუვდნენ. სახელოვანი შინსახკომის ფხიზელმა გუშაგებმა მათ დანაშაულზე წაასწრეს. ქვეწარმავლები, რომლებიც თავიანთი გესლით სწამლავდნენ ჰაერს, — გაისრისნენ.

— დაე, იცოდეს ყველამ — აცხადებს სტახანოველი დავით ვუშიძევი, — რომ ვინც შეეცდება ხელ აღმართოს ბედნიერი ქვეყნის მშრომელი მასების წინააღმდეგ, ვინ შეეცდება ოქტომბრის დიად მონაპოვართა ხელყოფას, იმ ადამიანთა ხელჰყოფას, რომელთა სიცოცხლე ყველაზე ძვირფასია მსოფლიოს პროლეტარიატისათვის, ის ულმობელად გაისრისება. მუშათა კლასის დიქტატურის რკინის ქუსლით.

ინგლისის პრესა იაპონიისათვის გაგზავნილი საბჭოთა ნოტის შესახებ

ლონდონი, 27 სექტემბერი (საკდესი). გაზეთების უმეტესობა მოკლედ იუწყება იაპონიისათვის გაგზავნილი საბჭოთა ნოტის შესახებ. ნოტის სრული ტექსტი ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული. თუმცა გაზეთები ამ ნოტას არავითარ კომენტარიას არ უკეთებენ, მაგრამ ცნობების სათაურები და შინაარსი მოწმობენ სსრ კავშირის პოზიციის სრულ მოწონებას. ზოგიერთი გაზეთი ცნობებს ათავსებს შემდეგი სათაურით: „სსრ კავშირის ენერგიული საპროტესტო ნოტა იაპონიას“, „სსრ კავშირი აფრთხილებს იაპონიას“.

ესპანეთის კორტესები ოქტომბრის პირველ რიცხვებში გაიხსნება

პარიზი, 28 სექტემბერი (საკდესი). როგორც ჰავასი ვალენსიიდან იუწყება, ესპანეთის კორტესების თავმჯდომარემ მარტინეს ბარიომ განაცხადა, რომ კორტესების გახსნა ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოხდება.

გერმანიაში მუსოლინის სამხედრო-საპარადო ბაქი-ბუქით შეხვდნენ

ბერლინი, 28 სექტემბერი (საკდესი). გერმანიაში მუსოლინის ყოფნა სამხედრო დარბაზობის ხაზგასმულ ხასიათს ატარებს. პარადები, სამხედრო დათვალიერებანი, მანევრები, სამხედრო ქარხნების ნახვა — ასეთია მესამე იმპერიაში იტალიის ფაშიზმის მეთაურის ყოფნის პროგრამის ძირითადი ელემენტები. თვითონ მუსოლინის, ისევე, როგორც მთელ მის ამალას, მასთან ჩამოსულ მინისტრთა ჩათვლით, ფაშისტური მილიციის ფორმა აცვია. თავის მხრით, გერმანიის დიპლომატია მცველი რაზმების (სს) ფორმაში გამოეწყო. ყოველივე ამის კოლორიტულ ფონს წარმოადგენს მცველი რაზმების 100-ათასიანი არმია, რომლითაც სავსეა ბერლინის ყველა ქუჩა, რაც ქალაქს უზარმაზარი ყაზარმისა და სამხედრო ბანაკის სახეს აძლევს.

გუშინ საღამოს მუსოლინი ბერლინს ჩამოვიდა.

ვარშავის კომუნალურ საწარმოთა მუშების გაფიცვა ფართოვდება

ვარშავა, 28 სექტემბერი (საკდესი). ვარშავის ტრამვაის მუშებმა და მოსამსახურეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც შეუერთდნენ მთელ რიგ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების გაფიცვას, რაც იქ მიმდინარეობს. გუშინ ვარშავაში ტრამვაის მიმოსვლა მხოლოდ ნაწილობრივ სწარმოებდა. ტრამვაის ვაგონების 70 პროცენტამდე დეპოში დარჩა, დანარჩენი ვაგონები ქალაქში პოლიციელთა თანხლებით დადიოდნენ.

ტრამვაის ყველა დეპო გარშემორტყმულია პოლიციით, რომელსაც ძალით გაჰყავს იქ გამაგრებული გაფიცული მუშები. ბურანოვსკის ტრამვაის დეპოში გაფიცულმა მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციის თავდასხმას: რამდენიმე მუშა დაპატიმრებულ იქნა. დღეს მოელიან ტრამვაისა და ავტობუსის მიმოსვლის სრულ შეწყვეტას ვარშავაში.

გაფიცულნი მოითხოვენ ეგრეთწოდებული „საგანგებო“ გადასახადის (გადასახადი, შემოღებული პოლონეთის მთავრობის მიერ 1935 წელს სახელმწიფო და კომუნალურ მუშა-მოსამსახურეთა ჯამაგირის 7-12 პროცენტის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად) გაუქმებას და სიძვირის ზრდის გამო ხელფასის მომატებას.

გაფიცვას გაზის ქარხნის მუშებიც უერთდებიან.

ომი ჩინეთში

ბრძოლები შანხაის ფრონტზე

ტოკიო, 28 სექტემბერი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, შანხაის ფრონტზე 27 სექტემბერს დილით საარმიო ავიაციის სამმა რაზმმა ყუმბარები დაუშინა ჩაპეის სექტორს, საზღვაო თვითმფრინავებმა კი — ჩინელთა არტილერიის პოზიციებს ლიუძიაჩანის მახლობლად.

შანხაის ფრონტზე მთავარი ბრძოლები 27 სექტემბერს ხდებოდა ლიუძიაჩანის სექტორში (ლოდიანის სამხრეთით).

ძიანვანში, როგორც სააგენტო აღნიშნავს, იაპონელთა ყუმბარებმა ცეცხლი გაუჩინეს მუშათა და ტუტანის უნივერსიტეტებს.

ჩინელთა რაზმები ხელს უშლიან იაპონელთა ჯარების შეერთებას

ლონდონი, 28 სექტემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ბეიპინელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ჩინელთა დიდი რაზმები კვლავ მოქმედებენ ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის დასავლეთით მდებარე რაიონებში და ხელს უშლიან იაპონელთა იმ ჯარების ხაზის შეერთებას, რომელნიც მოქმედებენ ბეიპინ-ხანკოუს და ტიანძინ-პუკოუს რკინიგზების გაყოლებით.

იაპონიის ავიაციის თავდასხმები კანტონზე არ სწყდება

შანხაი, 27 სექტემბერი (საკდესი). 23 სექტემბრიდან დაწყებული კანტონზე იაპონელთა ავიაციის თავდასხმები არ სწყდება. ხუანპუს (კანტონის მახლობლად). გემმისადგომთა რაიონში გუშინ მოჰკლეს და დასჭრეს დაახლოებით 50 ჩინელი მეთევზე და დაანგრიეს მრავალი სახლი. იაპონელთა ერთმა თვითმფრინავმა ყუმბარები დაუშინა ნანხაის (კანტონის მიდამოებში), სადაც მოკლულ და დაჭრილ იქნა 30-ზე მეტი გლეხი.

იაპონიის თვითმფრინავების მიერ ქალაქ ძინხუასათვის (ჩეძიანის პროვინციის დასავლეთ ნაწილში) ყუმბარების დაშენის დროს, 26 სექტემბერს, მოკლულ იქნა 40 კაცი. ორი თვითმფრინავი გამოჩნდა ხანჯოუს თავზე (ჩეძიანის პროვინცია) და, მიუხედავად საზენიტო არტილერიის ძლიერი სროლისა, დაბლა დაეშვა და ტყვიამფრქვევები დაუშინა ქალაქის ერთერთ მჭიდროდ დასახლებულ ქუჩაში გამვლელ ხალხს. ამავე თვითმფრინავებმა უკან დაბრუნებისას ორი ყუმბარა ჩამოაგდეს ნინბოში (ხანჯოუს აღმოსავლეთით). 27 სექტემბერს დილით იაპონიის თვითმფრინავები კვლავ გამოჩნდნენ ხანჯოუს თავზე.

იაპონელებმა დაიკავეს კუნძული შანჩუანი

ლონდონი, 28 სექტემბე (საკდესი). როგორც გაზეთ „ტაიმსის“ ჰონკონგელი კორესპონდენ იუწყება, იაპონელებმა სამხრეთ-ჩინეთში დაიკავეს კუნძული შანჩუანი, გუანხაის მახლობლად (160 კ ლომეტრის მანძილზე ჰონკონგ სამხრეთ-დასავლეთით). ამ ერთ კვირის წინათ იაპონელები ცდილობდნენ გადაესხათ ჯარი თვით გუანხაიში. იაპონიის კრეისერი და ნაღმოსანი ყუმბარებს უშენდნენ ნავსადგურს და ხელს უწყობდნენ 500 მეზღვაურის ნაპირზე გადასხმას. ჩინეთის ჯარები ტყვიამფრქვევთა სროლით შეხვდნენ იაპონელთა დესანტს, რის შედეგადაც იაპონელ მეზღვაურები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, მათ მოუკლეს 40 კაცი.

იაპონელთა ჯარებმა დაიკავეს ფინძიაკოუ

ტოკიო, 28 სექტემბერი (საკდესი). ჩრდილო-ჩინეთში მყოფი იაპონელთა ჯარების სარდლობის კომუნიკეს თანახმად, იაპონელთა ჯარებმა ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის სექტორში 27 სექტემბერს დილით დაიკავეს ფინძიაკოუ (20 კილომეტრის მანძილზე ცანჯოუს სამხრეთით). იმ ნაწილებმა, რომელნიც მოქმედებენ სამხრეთ ხეპეის ვაკეში ტიანძინ-პუკოუს და ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზებს შუა, მიაღწიეს სიანსიანის ჩრდილოეთით 15 კილომეტრის მანძილზე არსებულ პუნქტს.

განაჩენი

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა შემადგენლობამ

აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის რეჯებ ჯინჭარაძის თავმჯდომარეობით, წევრების იუსუფ კორძაიას და ვლადიმერ ჩიტიას შემადგენლობით და ლევან ჩიჩუას მდივნობით

სახელმწიფო ბრალმდებლის, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროკურორის ამხ. იპოლიტე კაპანაძის, საზოგადოებრივი ბრალმდებლების გოგუშ ცეცხლაძის, ხუსია დუმბაძის და აჭარის ავტონომიური ასსრ დამცველთა კოლეგიის წევრების ამხ. კაშიას, მამალაძის, ტურძელაძის და გუბაშვილის მონაწილეობით 1937 წელს 24—28 სექტემბერს ქალ. ბათუმში ღია სხდომაზე განიხილა საქმე ბრალდებისა გამო:

1. **ზექერია დურსუნის-ძე ლორთქიფანიძის,** დაბადებული 1892 წელს სოფელ მოფრინეთში, ხულოს რაიონში, დაბალი განათლებით, პასუხისგებაში არ ყოფილა, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1927 წლიდან, სსრ კავშირის მოქალაქე, დაპატიმრებამდე აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

2. **ჯემალ მუხამედის-ძე ქიქავას,** დაბადებული 1895 წელს, ქ. ბათუმის მცხოვრები, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი კანდიდატი 1931 წლიდან, ცოლშვილიანი, საშუალო განათლების, პასუხისგებაში არ ყოფილა, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, დაპატიმრებამდე აჭარვაჭრობის მმართველი.

3. **გიორგი ერასტის-ძე რამიშვილის,** დაბადებული 1888 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ დიდვანში, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1917 წლიდან, ცოლშვილიანი, საშუალო განათლებით, აჭარის ცაკის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, დაპატიმრებამდე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი.

4. **ილიას ისმაილის-ძე მეგრელიძის,** დაბადებული 1903 წელს, ქობულეთის რაიონის სოფელ ქაქუთში, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, მოსამსახურე, ცოლშვილიანი, უმაღლესი განათლებით, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1931 წლიდან, ახალგაზრდა მარქსისტთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ყოფილი წევრი 1919-1923 წლამდე, პასუხისგებაში ნამყოფი კონტრრევოლუციური მოღვაწეობისათვის 1922 წელს, დაპატიმრებამდე აჭარის ასს რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი.

5. **გრიგოლ ერმალის-ძე ლაღიძის,** დაბადებული 1887 წელს, ქუთაისის რაიონში, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, ცოლშვილიანი, უმაღლესი განათლებით, იურისტი, 1904 წლიდან სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი, 1921-22 და 24 წლებში პასუხისგებაში ნამყოფი კონტრრევოლუციური მოღვაწეობისათვის, დაპატიმრებამდე აჭარის ასსრ დამცველთა კოლეგიის წევრი.

6. **ქიაზიმ ხასანის-ძე ბასილაძის,** დაბადებული 1903 წელს ქედის რაიონის სოფ. ქედაში, მცხოვრები ქალაქ ბათუმში, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1926 წლიდან, ცოლშვილიანი, საშუალო განათლებით, დაპატიმრებამდე აჭარის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მმართველი.

7. **სულეიმან უსუფის-ძე ბეჟანიძის,** დაბადებული 1909 წელს ხულოს რაიონის სოფ. მოფრინეთში, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, საშუალო განათლებით, ცოლშვილიანი, პასუხისგებაში არ ყოფილა, საკ. კ. პ. (ბ) ყოფ. წევრი 1931 წლიდან, დაპატიმრებამდე ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარე.

8. **ხასან უსუფის-ძე ძნელაძის,** დაბადებული 1905 წელს ბათუმის რაიონის სოფ. ორთაბათუმში, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, საშუალო განათლებით, პასუხისგებაში არ ყოფილა, საკ. კ. პ. (ბ) ყოფილი წევრი 1929 წლიდან, ცოლშვილიანი, დაპატიმრებამდე საკ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივნის მოადგილე.

9. **ხასან ხალიფის-ძე ჩალ-ოღლი,** დაბადებული 1892 წელს ხულოს რაიონში, ბათუმის რაიონის სოფელ თოფალოღლების მცხოვრები, აჭარის ასსრ იუსტიციის სახალხო კომისარი 1925 წლამდე, დაბალი განათლებით, ცოლშვილიანი, სსრ კავშირის მოქალაქე, უპარტიო, დაპატიმრებამდე სოფ. თოფალოღლების კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

10. **ოსმან რეჯების-ძე რომანაძის,** დაბადებული 1904 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკაში, სსრ კავშირის მოქალაქე, დაბალი განათლებით, ცოლშვილიანი, საკ. კ. პ. (ბ) ყოფ. წევრი 1932 წლიდან, პასუხისგებაში არ ყოფილა, დაპატიმრებამდე სოფ. წყავროკის ეჟევის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

11. **ოსმან თერჯანის-ძე ვანაძის,** დაბადებული 1911 წელს ხულოს რაიონის. სოფელ ვანაძეებში, სსრ კავშირის მოქალაქე, დაბალი განათლებით, ცოლშვილიანი, ალკკ ყოფილი წევრი 1930 წლიდან. დაპატიმრებამდე სოფელ ვანაძეების კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე.

დანაშაულზე, რაც გათვალისწინებულია საქ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებში.

წინასწარი და სასამართლოს ძიებით სასამართლო დადასტურებულად სთვლის, რომ ამ საქმეზე ბრალდებული აჭარის ცაკის ყოფილი თავმჯდომარე ზექერია დურსუნის-ძე ლორთქიფანიძე ჯერ კიდევ 1928 წლიდან ჯაშუშური მიზნით დაუკავშირდა უცხოეთის ერთერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენელს და მისივე დავალებით 1933 წელში, ამავე საქმეზე ბრალდებულ ჯემალ მუხამედის-ძე ქიქავასთან ერთად, ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციურ მავნებლურ-დივერსიულ - ჯაშუშურ - ტერორისტულ - სააჯანყებო ორგანიზაციას აჭარაში, რომელშიაც წევრებად შევიდნენ და აქტიურ კონტრრევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ, გარდა აჭარის ცაკის ყოფილი თავმჯდომარის ზექერია დურსუნის-ძე ლორთქიფანიძისა და აჭარვაჭრობის მმართველ ჯემალ მუხამედის-ძე ქიქავასი, ამ საქმეზე ბრალდებულნი— აჭარის იუსტიციის ყოფილი სახალხო კომისარი და სოფ. თოფალოღლების კოლმეურნეობის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე ხასან ხალიფის-ძე ჩალ-ოღლი, აჭარის სასოფლო - სამეურნეო ბანკის ყოფილი მმართველი ქიაზიმ ხასანის-ძე ბასილაძე, აჭარის ყოფილი მიწსახკომი ილიას ისმაილის-ძე მეგრელიძე, საქ. კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომის მდივნის ყოფილი მოადგილე ხასან უსუფის-ძე ძნელაძე, ხულოს რაიაღმასკომის თავმჯდომარე სულეიმან უსუფის-ძე ბეჟანიძე, სოფელ ვანაძეების კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ოსმან თერჯანის-ძე ვანაძე და სოფ. წყავროკის ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე ოსმან რეჯების-ძე რომანაძე.

აღნიშნული კონტრრევოლუციური ორგანიზაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამავე 1933 წელს გამოყოფილი ხელმძღვანელი კომიტეტი ზექერია ლორთქიფანიძისა და ჯემალ ქიქავას მეთაურობით, დაუკავშირდა რა აჭარიდან საზღვარგარეთ გაქცეულ ბეგებს, მოლებს და კულაკებს, თავის მიზნად ისახავდა სახალხო მეურნეობაში მავნებლობის, დივერსიის, ჯაშუშობის, ტერორის და საბჭოთა კავშირზე კაპიტალისტური ქვეყნების თავდასხმის მოწყობის გზით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, აჭარაში კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენას და აჭარის ჩამოშორებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირისაგან მის გადასაქცევად ერთერთი კაპიტალისტური ქვეყნის კოლონიად. აღნიშნული მიზნების განსახორციელებლად კონტრრევოლუციური ორგანიზაციის კომიტეტი ზექერია ლორთქიფანიძის და ჯემალ ქიქავას სახით დაუკავშირდა კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაციის საკავშირო ცენტრის წევრს, ხალხის მტერს სერებრიაკოვს და საქართველოში კონტრრევოლუციური ტროცკისტული ცენტრის წარმომადგენელს ქურდაძეს, ხოლო შემდეგ კავშირი დაამყარა საქართველოში მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან — გერმანე მგალობლიშვილის, შალვა მათიკაშვილის და თენგიზ ჟღენტის სახით და, ბოლოს, უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს წარმომადგენლის მითითებით დაუკავშირდა და 1936 წელს ბლოკი შეჰქმნა საქართველოს კონტრრევოლუციურ - ტროცკისტული და ნაციონალისტურ - ფაშისტური ჯგუფების ნაშთებთან ბათუმში, რომლებიდანაც გაერთიანებულ კონტრრევოლუციურ ცენტრში შევიდნენ აჭარის ცაკის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი გიორგი ერასტის-ძე რამიშვილი, ხალხის მტერ ბუდუ მდივნის უშუალო დავალებით, და აჭარის დამცველთა კოლეგიის წევრი ფაშისტი გრიგოლ ერმალოზის-ძე ლაღიძე. ამრიგად, გაერთიანებული ანტისაბჭოთა ბლოკის ორგანიზაციის წევრები, მოკალათებული იყვნენ რა სხვადასხვა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო პასუხსაგებ თანამდებობებზე, თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში უხეშად ამახინჯებდნენ პარტიის პოლიტიკას საკოლმეურნეო მშენებლობაში, აწარმოებდნენ ძირგამომთხრელ დეზორგანიზატორულ მუშაობას სახალხო მეურნეობაში, განსაკუთრებით კი კოლმეურნეობებში, აფერხებდნენ სასოფლო - სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის განვითარებას, ამცირებდნენ სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობას, მხარს უჭერდნენ კულაკობას და სასულიერო წოდებას, აბუჩად იგდებდნენ მშრომელი გლეხობის ელემენტარულ მოთხოვნებს, ამახინჯებდნენ საბჭოთა კანონებს, აჭარის მშრომელი გლეხობის კეთილდღეობის საზიანოდ ავრცელებდნენ სოფლად ყოველგვარ კონტრრევოლუციურ ჭორებს და იწვევდნენ პროვოკაციას რათა გამოეწვიათ მასობრივი უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და ეს უკმაყოფილება გამოეყენებინათ თავიანთი ბოროტი კონტრრევოლუციური მიზნებისათვის.

ამ საქმეზე ბრალდებულმა ზექერია ლორთქიფანიძემ, თვითონ იყო რა ჯაშუშურ კავშირში ერთერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენელთან, მასვე სხვადასხვა დროს ჯაშუშური მიზნით დაუკავშირა აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები, ამ საქმეზე ბრალდებულნი ჯემალ ქიქავა და ქიაზიმ ბასილაძე, რომლებიც სისტემატიურად საიდუმლოდ ხვდებოდნენ აღნიშნულ უცხო სახელმწიფოს დაზვერვის წარმომადგენელს, ღებულობდნენ მისგან კონტრრევოლუციურ დავალებებს და აწვდიდნენ მას საიდუმლო ცნობებს საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ - ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შესახებ, მისივე დავალებით აწყობდნენ სააჯანყებო ჯგუფებს, რისთვისაც სხვადასხვა დროს ღებულობდნენ მსხვილ თანხებს ოქროთი, ვალუტით და საბჭოთა ფულის ნიშნებით. ბრალდებულმა ზექერია ლორთქიფანიძემ უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს დაზვერვისა, საქართველოს ტროცკისტებისა და მემარჯვენეებისაგან მიღებულ მითითებათა საფუძველზე სახალხო მეურნეობაში ძირგამომთხრელი მავნებლური მუშაობის ჩატარება დაავალა მის მიერ კონტრრევოლუციურ მუშაობაში ადრევე ჩაბმულ პირებს, კერძოდ სულეიმან ბეჟანიძეს, ნური გამრეკელიძეს და. სეიდ გვარელ-ოღლის ხულოს რაიონში, ქიაზიმ ბასილაძეს და ზექერია ბერიძეს ქედის რაიონში, ოსმან მოწყობილს და ხასან ძნელაძეს ქობულეთის რაიონში, რომლებსაც საერთო ხელმძღვანელობას მისივე დავალებით უწევდა ამავე საქმეზე ბრალდებული, აჭარის ყოფილი მიწსახკომი ილიას მეგრელიძე, რომელიც ლორთქიფანიძემ და გიორგი რამიშვილმა ჩააბეს კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში და ამავე მიზნით დაუკავშირეს საქართველოს ყოფილ მიწსახკომს, ხალხის მტერს შალვა მათიკაშვილს, რათა მშრომელ გლეხობის თვალში სახელი გაეტეხათ საკოლმეურნეო მშენებლობისათვის და გამოეწვიათ უკმაყოფილება მოსახლეობაში. 1936-37 წელს ზექერია ლორთქიფანიძის უშუალო მითითებითა და ხელმძღვანელობით ხულოს რაიონში ყოველგვარი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩაუტარებლად, ადმინისტრატიული წესით, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების უხეში დარღვევით, არსებულ „ტოზებიდან" ჩამოაყალიბეს 13 სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომლებიდანაც 8 მთლიანად დაიშალა. იყენებდნენ რა თავიანთ თანამდებობრივ მდგომარეობას კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები, მათ შორის ზექერია ლორთქიფანიძეც, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ხელმძღვანელებად ნიშნავდნენ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის საიმედო და აქტიურ წევრებს. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ხულოს რაიონში, სადაც ახლად ჩამოყალიბებული არტელების თავმჯდომარეებად დანიშნეს კონტრრევოლუციური ორგანიზაციის საიმედო წევრები—ბრალდებული ოსმან ვანაძე, ყადირ ხოზრევანიძე და სხვები. ამრიგად აჭარის ყველა რაიონებში და ქალაქ ბათუმში წინასწარ შერჩეულ ადგილებზე განაწილებული იყვნენ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები, რომელთა მეშვეობით ბრალდებულებმა ზექერია ლორთქიფანიძემ და გიორგი რამიშვილმა დასახელებულ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩააბეს ყოფილი ბეგები, აღალარები, ხოჯები, კულაკები და ანტისაბჭოთა პარტიების ყოფილი წევრები, რომლებსაც რაზმავდნენ სააჯანყებო ჯგუფებად და მათივე მეშვეობით ეწეოდნენ ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას აჭარის სოფლის მეურნეობის წამყვანი კულტურების—ციტრუსების, ჩაის, თამბაქოს, მებაღეობა - მემინდვრეობის და მესაქონლეობის დარგში. მავნებლობა ჩაის და ციტრუსოვანი კულტურების დარგში ტარდებოდა ჩაის პლანტაციებზე ციტრუსოვანი ხეების მჭიდრო და ხშირი დარგვით, ციტრუსოვანი ნარგავების არახარისხოვანი წამლობით, შეფუთვნისას ძირების დაჭრით, სასუქის შეუტანლობით, ზერელე ხვნით და ციტრუსების ნერგების გამოზამთრების ჩაშლით. სალიბაურის, ახალშენის და ჩაქვის საბჭოთა მეურნეობებში მავნებლობის მიზნით ციტრუსოვანი ხეები დარგეს მჭიდროდ — ჰექტარზე 65-100 ძირის ნაცვლად 400 და მეტი. ამ მავნებლური ღონისძიებით კონტრრევოლუციური ორგანიზაცია შეეცადა ციტრუსოვანი პლანტაციების დაღუპვას, რის თავიდან ასაცილებლად ხსენებულ მეურნეობებს ამჟამად უხდებათ ხელახლა გადარგვა 13.000 ძირი ციტრუსოვანებისა, კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში" (ცუდი წამლობის შედეგად დაიღუპა 700 ძირი ციტრუსოვანი, ბუდნების გაფართოების დროს ციტრუსოვან ხეებს ფესვები დააჭრეს, რითაც დაასუსტეს ისინი და დაღუპვის კარამდე მიიყვანეს. ციტრუსოვანი ნერგების გამოზამთრების ჩაშლით ურეხის სანერგეში გაჰყინეს და დაღუპეს 60.000 ძირი ციტრუსი. ჩაის კულტურის დარგში მავნებლობას ატარებდნენ პლანტაციების ხელოვნურად დაავადებით, ჩაის ბუჩქების არასწორი შეკრეჭით და გაფორმებით, პლანტაციების ზერელე დაბარვით და არა თავის დროზე გაწმენდით სარეველა ბალახებისაგან. მარქსისა და ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობა „მუშა და გლეხში" ჩაის პლანტაციები 20 ჰექტარ ფართობზე 20-25 სანტიმეტრის მაგივრად გადაბარეს 10 სანტიმეტრის სიღრმეზე, 15 ჰექტარზე ჩაის ბუჩქი მავნებლურად გააფორმეს, 10 ჰექტარზე დააგვიანეს ჩაის მოკრეფა, ჩაის ბუჩქებს ხშირად დაუკრეფავს სტოვებდნენ, რის შედეგად სახელმწიფოს დააკლეს 40 ტონა ჩაის ფოთოლი. ბრალდებულ ხასან ძნელაძის დავალებით ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ბრალდებული რომანაძე ჩაის ბუჩქების შეკრეჭა-გაფორმებისას აჭრიდა იმ ფოთლებს, რომლების მოჭრაც ზიანს აყენებდა ახალ ვეგეტაციას. მეთამბაქოობაში მავნებლობას ატარებდნენ თამბაქოს კულტურისათვის უვარგისი მიწის გამოყოფით, უვარგისი თესლის მიწოდებით, თამბაქოს ხშირი დარგვით და დარგვის არარეალური გეგმის დაწესებით. საშრობების და საწყობების მშენებლობის ხაზით 1935 წელს მთელ აჭარაში თამბაქოს გეგმა მოცემული იყო 600 ჰექტარზე. ზექერია ლორთქიფანიძემ, მავნებლური მიზნით, რომ გლეხობას თამბაქოსთვის ვერ მოევლო და მისი გაფუჭებით გამოეწვია ზარალი და უკმაყოფილება, 1937 წელს გეგმა 600-დან 1.000 ჰექტარამდე გაადიდა. გადიდებული გეგმა სინამდვილეში ათვისებული ვერ იქნა, რამაც კოლმეურნეობებს საგრძნობი ზარალი მიაყენა. თესლის განაწილებაში მავნებლობა გატარეს მეთამბაქოეებისათვის ისეთი ჯიშის თესლის მიცემით, რომელიც ადგილობრივი კლიმატური პირობებისა და გამოყოფილი ნიადაგის ხარისხის გამო ცუდ მოსავალს იძლეოდა. ქედის და ხულოს რაიონში საჭირო სამსუნის ჯიშის თესლის ნაცვლად მეთამბაქოეებს მიაწოდეს ტრაპიზონის, დიუბეკის და სრულიად უცხო ჯიშის თესლი, რომელიც ხელოვნურად დაავადებული იყო. თამბაქოს საშრობების და საწყობების მშენებლობას სტანდარტის მიხედვით არ აწარმოებდნენ. ეს მდგომარეობა ხელს უშლიდა გაშრობას და თამბაქოს ხარისხს უკარგავდა. მეცხოველეობაში პირუტყვის სულადობის შემცირების მიზნით მავნებლობა განახორციელეს პირუტყვის ცუდი მოვლით, საჯიშე და ნამატი პირუტყვის გამოზრდის გეგმის ჩაშლით, ვეტერინარული მომსახურების ჩაშლით, კოლმეურნეობებში მუშა-საქონლის განიავებით, სარძეო ფერმების დანგრევით, საკვების ბაზის ჩაშლით. 1936 წელს ბათუმიდან ხულოში გაგზავნილი 50 სული ჯიშიანი მოზვრიდან ცუდი მოვლის გამო უმრავლესობა დაიხოცა. ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა აჭარის სხვა რაიონებშიც, რის შედეგად დაიხოცა 140 ჯიშიანი ბუღა. ხულოს რაიონის საჯიშე ფერმიდან დაავადებული ძროხები მკურნალობის ნაცვლად გადასცეს სოფელ დიოკნისის კოლმეურნეობას, სადაც ისინი დაიღუპნენ. სუსტი ვეტმომსახურებით, კარანტინის ვადის შემცირებით, არა თავის დროზე აცრით, დაგრილების კამპანიის ჩაშლით, საკოლმეურნეო ფერმებში პროდუქტიული საჯიშე პირუტყვისათვის საკვების ნორმის შემცირებით და ზოოტექნიკური კადრების მომზადების ჩაშლით კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა რაიონში მესაქონლეობა განადგურებამდე მიიყვანეს. კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელობა რაიონში: ბრალდებული ბეჟანიძე, ნური გამრეკელიძე, თურქოშვილი და დავით ძნელაძე აძლევდნენ ყალბ მოწმობებს მუშა-საქონლის, როგორც უვარგისის, დაკვლის შესახებ, რის შედეგადაც ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარის, ვანაძეების და გურთის კოლმეურნეობებში გაანიავეს 180 სული ჯანსაღი მუშა-საქონელი, ხოლო დანარჩენი გამწევი ძალის რემონტი არ ჩაატარეს. 1936 წელს ხულოს რაიონში მავნებლობის ხელმძღვანელმა, ხულოს რაიაღმასკომის ყოფილმა თავმჯდომარემ სულეიმან ბეჟანიძემ მოზარდი საქონლის კონტრაქტაცია ჩაშალა, რის შედეგად სოფ. დიდაჭარის და ხულოს კოლმეურნეობების მესაქონლეობის ფერმებს დააკლდათ 400 საფურე დეკეული. ხელოვნურად იწვევდნენ საკვები ბაზის შემცირებას საზაფხულო საძოვრების გადატვირთვით, დასილოსების გაფუჭებით, ხულოს რაიონის დიდაჭარის, ღორჯომის და ვანაძეების კოლმეურნეობებში ჰაერის შეშვებით და დაუტკეპნელობით მავნებლურად დაალპეს 230 ტონა დასილოსებული საკვები. მევენახეობა-მებაღეობის დარგში ჩატარებული მავნებლობის შედეგად, ცუდი დამუშავებითა და შეწამლვით ნამყენი ვენახი სანახევროდ გაანადგურეს, ხოლო 1936 წელს შემოტანილი 1.500 ძირი ხეხილის ნერგი, თითო 2 მან. ღირებული, გაახმეს და ისე გაუნაწილეს კოლმეურნეობებს, რომლებმაც ღირებულება იზარალეს, რადგან ფული წინასწარ ჰქონდათ გადახდილი, და უშედეგო შრომა გასწიეს. მემინდვრეობის დარგში მავნებლობას ეწეოდნენ სათესლე ფონდის განიავება-გაფუჭებით, ზერელე ხვნითა და ნიადაგის ცუდი დამუშავებით. ამ საქმეზე ბრალდებულმა ოსმან რომანაძემ 1936 წელს ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობაში სიმინდის სათესლე ფონდი შრომადღეებზე გაანაწილა, ხვნა-თესვის დროს თესლი არ შეაგროვა და 10 ჰექტარზე ჩახურებული გაფუჭებული თესლი დასთესა. ხულოს რაიონში მავნებლობის ხელმძღვანელის ამ საქმეზე ბრალდებულ სულეიმან ბეჟანიძის დავალებით, ბრალდებულმა ოსმან ვანაძემ სოფ. ვანაძეებისა და სოფ. გურთის კოლმეურნეობებში 1936 წელს გააფუჭა 800 ფუთი სათესლე კარტოფილი. კონტრრევოლუციური მავნებლური ჯგუფი შრომის ორგანიზაციისა და აღრიცხვიანობის ჩაშლით, კოლმეურნეობებში ბრიგადებისა და ჯგუფების ჩამოყალიბების ჩაშლით, ხელოვნური დაბრკოლებების შექმნით, მუშახელის არარაციონალურად გამოყენებით, ჩაის კრეფის განუწყვეტლივ წარმოების ჩაშლით ამცირებდა შრომის ნაყოფიერებას და შემოსავლიანობას, რითაც სახელს უტეხდა საკოლმეურნეო შრომის უპირატესობას. მავნებლური მიზნით ბრიგადები და ჯგუფები მიმაგრებული არ იყვნენ სამუშაოებზე, მათ არ ამარაგებდნენ საჭირო ინვენტარით, არეულდარევა შეჰქონდათ ანგარიშწარმოებაში; ზოგიერთ კოლმეურნეობაში, მაგალითად, სოფელ დიდაჭარის, დანისპარაულის, რიკეთის, შუბანის, ვანაძეებისა და ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობებში ანგარიშწარმოება სრულებით არ იყო დაყენებული. ამით იწვევდნენ შრომადღეების დაკარგვას, ავანსების გაცემისა და წლიური შემოსავლის განაწილების დაგვიანებას და საკოლმეურნეო ქონების განიავებას. ასე, მაგალითად, სოფელ დიდაჭარის კოლმეურნეობაში წლიური მოსავალი განაწილებულ იქნა მაისში, ნაცვლად პირველი იანვრისა. სოფლის მეურნეობის დაფინანსების დარგში კონტრრევოლუციური ორგანიზაცია თავისი აქტიური წევრის, სასოფლო-სამეურნეო ბანკის ყოფილი მმართველის ბრალდებულ ქიაზიმ ბასილაძის მეშვეობით აგვიანებდა კრედიტების ადგილებზე გაგზავნას, კრედიტების გაცემის დროს ვადაზე ადრე უკავებდა მიღებულ ავანსებს, ხოლო ვადაგასულ კრედიტებს ჰკრეფდა მაშინ, როცა კოლმეურნეები მატერიალური ხელმოკლეობას განიცდიდნენ. კოლმეურნეთათვის საკარმიდამო ნაკვეთების მიზომვის დროს არ იცავდნენ ნორმებს, აძლევდნენ პატარ-პატარა ნაკვეთებს, ხშირად 10-11 ნაწილად და დაშორებულ ადგილებში.

მრეწველობისა და ვაჭრობის დარგში მავნებლურ მუშაობას ეწეოდნენ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბრალდებული გიორგი რამიშვილი და ჯემალ ქიქავა. მრეწველობისა და საბინაო მშენებლობის გეგმების ჩაშლით, მოსახლეობისათვის სამრეწველო საქონლის მიწოდების შეფერხებით, ნაკლებად საჭირო სამრეწველო საქონლის შეტანით ისინი მოსახლეობაში ჰქმნიდნენ უკმაყოფილებას პარტიისა და ხელისუფლებისადმი. ბრალდებულმა გიორგი ერასტის-ძე რამიშვილმა, მიიღო რა დავალება საქართველოს კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ტერორისტული ცენტრიდან, პირადად ხალხის მტერ ბუდუ მდივნისაგან, 1936-37 წლებში ქალაქ ბათუმში ჩამოაყალიბა ტერორისტული ჯგუფი, რომელშიც ჩააბა კონტრრევოლუციონერი ტროცკისტი სერგო მანაგაძე და გარო აღამჯანოვი. ეს ტერორისტული ჯგუფი ამზადებდა ტერორისტულ აქტს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლავრენტი ბერიას მიმართ, რაც შეთანხმებული იყო აჭარის კონტრრევოლუციური ცენტრის წევრებთან.

ჯანმრთელობის დარგში კონტრრევოლუციური ორგანიზაცია მავნებლობას ეწეოდა თავისი აქტიური წევრისა და ერთერთი ხელმძღვანელის, ამჟამად დაპატიმრებულ და გამოძიების ქვეშ მყოფ ოსმან კონცელიძის საშუალებით. ეს მავნებლობა გამოიხატა ეპიდემიის საწინააღმდეგო ზომების მიუღებლობაში, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანთა სიკვდილიანობა, არასწორ მკურნალობაში, წამლების არადანიშნულებისამებრ გაცემაში, საბავშვო ბაგებისა და საავადმყოფოების მშენებლობის ჩაშლაში. ამახინჯებდნენ რა საბჭოთა კანონებს, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის წევრები, მოკალათებულნი პასუხსაგებ თანამდებობებზე, აბუჩად იგდებდნენ მშრომელ გლეხობას და ფეხქვეშ სთელავდნენ მათ უფლებებს, გადაჭარბებით ბეგრავდნენ შრომის ბეგარით, ართმევდნენ ნათესების მორწყვისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებით სარგებლობის საშუალებას, ბიუროკრატიულად ეპყრობოდნენ მათ საჩივრებსა და განცხადებებს.

საგადასახადო პოლიტიკის დარგში მავნებლობას ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის კომიტეტის წევრი, ამჟამად გამოძიების ქვეშ მყოფი აჭარის ყოფილი ფინსახკომი სულეიმან ზაქარიაძე. კულაკური მეურნეობის განვითარებისათვის ხელისშეწყობის მიზნით ერთპიროვნულ მეურნეებს უფრო ნაკლებ ბეგრავდნენ, ვიდრე კოლმეურნეებს. 1936 წელს ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ხულოს რაიონის უჩამბის სასოფლო საბჭოში, სადაც ბრალდებულ ზექერია ლორთქიფანიძის დავალებით დაბეგვრა ჩაატარა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიურმა წევრმა, უჩამბის სოფსაბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ სულეიმან ბერიძემ. 1937 წლის დასაწყისში ბრალდებულმა ზექერია ლორთქიფანიძემ, თავისი სიმამრის, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის აქტიური წევრის, კულაკ ოსმან-აღა დავითაძის მოთხოვნით, სოფ. ჯაგნიძეების გლეხებს აუკრძალა გაეყვანათ სარწყავი არხი, რომელსაც უნდა მოერწყო 100 ჰექტარი სათესი ფართობი. სოფ. თოფალოღლების კოლმეურნეობის ყოფ. თავმჯდომარემ, ამ საქმეზე ბრალდებულმა ხასან ხალიფის-ძე ჩალ-ოღლიმ, ისარგებლა რა თავისი მდგომარეობით, კოლმეურნეობაში შეიყვანა კულაკები და ჩააბა ისინი ძირგამომთხრელ მუშაობაში.

ამრიგად, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალური შემადგენლობა დადასტურებულად სთვლის შემდეგს:

1. **ზექერია დურსუნის-ძე ლორთქიფანიძეს** ბრალი ედება იმაში, რომ 1933 წელს ჩამოაყალიბა და დაპატიმრების დღემდე ხელმძღვანელობდა აჭარის კონტრრევოლუციურ საჯანყებო ტერორისტულ-დივერსიულ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, აჭარაში კაპიტალიზმის რესტავრაციას და აჭარის ჩამოშორებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირისაგან. 1928 წლიდან კავშირი ჰქონდა უცხოეთის ერთერთ სახელმწიფოს დაზვერვასთან და ეწეოდა ჯაშუშურ მუშაობას მათ სასარგებლოდ, კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთელ კონტრრევოლუციურ ემიგრანტთა ორგანიზაციებთან, იყო ორგანიზატორი და ხელმძღვანელი მავნებლობისა აჭარის სახალხო მეურნეობაში, ე. ი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

2. **ჯემალ მახმუდის-ძე ქიქავას** ბრალი ედება იმაში, რომ იყო ერთერთი ორგანიზატორი და მონაწილე კონტრრევოლუციური ჯაშუშურ-სააჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, აჭარაში კაპიტალიზმის რესტავრაციას და აჭარის ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან, 1933 წლიდან დაპატიმრებამდე მჭიდრო კავშირი ჰქონდა უცხოეთის ერთერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს დაზვერვასთან და ეწეოდა ჯაშუშურ მუშაობას, იყო ერთერთი ხელმძღვანელი მავნებლობისა აჭარის სახალხო მეურნეობაში და უშუალოდ ატარებდა მავნებლობას სახელმწიფო ვაჭრობაში, ე. ი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

3. **გიორგი ერასტის-ძე რამიშვილს** ბრალი ედება იმაში, რომ იყო ერთერთი ორგანიზატორი და მონაწილე კონტრრევოლუციური ტერორისტული ორგანიზაციისა, რომელმაც 1934 წლის პირველ დეკემბერს განახორციელა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცაკის პრეზიდიუმის წევრის ამხანაგ კიროვის მუხანათური მკვლელობა და შემდგომ (1934-37) წლებში ამზადებდა ტერორისტულ აქტს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, 1934 წლიდან მეთაურობდა და ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციურ-ტროცკისტულ ორგანიზაციას აჭარაში, ამზადებდა ტერორისტულ აქტს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხანაგ ლავრენტი ბერიას წინააღმდეგ, 1935 წლიდან უშუალო კავშირი ჰქონდა აჭარის კონტრრევოლუციურ ჯაშუშურ საჯანყებო ორგანიზაციასთან, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აჭარის ჩამოშორებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან, იყო მავნებლობის ერთერთი ხელმძღვანელი მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ჰქონდა ჯაშუშური კავშირი უცხოეთის ერთერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს დაზვერვასთან, ე. ი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

4. **ილიას ისმაილის-ძე მეგრელიძეს** ბრალი ედება იმაში, რომ 1936 წლიდან იყო ერთერთი აქტიური წევრი აჭარის მავნებლურ - დივერსიულ-კონტრრევოლუციურ - ჯაშუშურ-საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობასა და კაპიტალიზმის აღდგენას და აჭარის ჩამოშორებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან, ამავე დროს იყო აქტიური წევრი და მონაწილე კონტრრევოლუციური ტროცკისტული ორგანიზაციისა, რომელმაც 1934 წლის 1 დეკემბერს განახორციელა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცაკის წევრის ამხ. კიროვის ვერაგული მკვლელობა და შემდგომ (1934-37) წლებში ამზადებდა ტერორისტულ აქტებს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ, მეთაურობდა და ხელმძღვანელობდა მავნებლობას აჭარის სასოფლო მეურნეობაში, სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურათა და მეცხოველეობის განვითარების ჩაშლას, კოლმეურნეობათათვის ზიანის მიყენებას. მათი დაშლის მიზნით, 1936 წელს შეადგინა და ზექერია ლორთქიფანიძის მეშვეობით უცხოეთის ერთერთ კაპიტალისტური სახელმწიფოს დაზვერვას გადასცა ჯაშუშური ცნობები, ე. ი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის/ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

5. **გრიგოლ ერმალოზის-ძე ლაღიძეს** ბრალი ედება იმაში, რომ 1935 წელს ქალაქ ბათუმში დააარსა და დაპატიმრებამდე ხელმძღვანელობდა კონტრრევოლუციურ - ფაშისტურ ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული აჯანყების გზით, 1936 წლის დასაწყისიდან კავშირი დაამყარა აჭარის კონტრრევოლუციურ - ფაშისტურ საჯანყებო ორგანიზაციასთან, აგრეთვე კონტრრევოლუციონერ ტროცკისტებთან და მენშევიკებთან და მათთანვე ერთად ამზადებდა შეიარაღებული აჯანყების მოწყობას, ჰკრეფდა და მემედ-ბეგ აბაშიძისა და ზექერია ლორთქიფანიძის საშუალებით საზღვარგარეთ ჰგზავნიდა ეკონომიური და სამხედრო ხასიათის ჯაშუშურ ცნობებს, ე. ი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58,2, 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

6. **ქიაზიმ ხასანის-ძე ბასილაძეს** ბრალი ედება იმაში, რომ 1933 წლიდან იყო აქტიური მონაწილე და ერთერთი ხელმძღვანელი აჭარის კონტრრევოლუციური დივერსიულ-ტერორისტულ - მავნებლურ-საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენას და აჭარის ჩამოშორებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან, 1935 წლიდან დაკავშირებული იყო უცხოეთის ერთერთ კაპიტალისტური სახელმწიფოს დაზვერვასთან და ეწეოდა ჯაშუშობას, ატარებდა მავნებლობას კოლმეურნეობათა დაფინანსების დარგში, ე. ი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

7. **სულეიმან უსუფის-ძე ბეჟანიძეს** ბრალი ედება იმაში, რომ იყო აქ

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

აჭარის კონტრრევოლუციური საჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა პროცესი

სახელმწიფო ბრალმდებელ ამხ. ი. კაპანაძის სიტყვა

ამხანაგო მოსამართლენო!

აჯანყების მომწყობი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი ცენტრი, იმყოფებოდა რა ბლოკში ყველა ჯურის კონტრრევოლუციურ ნაძირალებთან — ტროცკისტებთან, ფაშისტებთან, მენშევიკ-ესერებთან და დაკავშირებული იყო რა ერთერთი უცხო სახელმწიფოს დაზვერვასთან, მიზნად ისახავდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული აჯანყების გზით, კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენას, ბეგების, აღალარებისა და ხოჯების ბატონობის დაბრუნებას, აჭარის მშრომელთა დამონებას და საბჭოთა აჭარის გადაქცევას ერთერთი კაპიტალისტური ქვეყნის კოლონიად.

ვიდრე შევუდგებოდე ბრალდებულთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა და მათი დამამტკიცებელი საბუთების ანალიზს, საჭიროდ მიმაჩნია შევეხო იმ მხარის წარსულს, რომელიც ამ საზიზღართა ხროვამ ვაჭრობის ობიექტად აირჩია.

მეფის ხელისუფლების ბატონობის დროს აჭარა წარმოადგენდა კოლონიას, რომელსაც უმეცრება და სიღარიბე ახრჩობდა, მშრომელი გლეხობა განიცდიდა სასტიკ ყვლეფას, ჩაგვრასა და დამონებას მეფის მოხელეებისა და მათი მოკავშირე ბეგების, აღალარებისა და ხოჯებისაგან.

აჭარის ხალხი ისევე, როგორც სხვა დაჩაგრული და დამონებული ხალხები, არაერთხელ აჯანყებულა მეფის ხელისუფლებისა და მისი დამქაშების — მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ.

1917 წელს აჭარა, მთელი საქართველო და ამიერ-კავკასია, კონტრრევოლუციის დროებითი გამარჯვების გამო, მოწყვეტილი აღმოჩნდნენ საბჭოთა რუსეთისაგან. მენშევიკების ხანმოკლე ბატონობის შემდეგ 1918 წელს აჭარა დაიპყრეს გერმანიისა და თურქეთის ჯარებმა. 1919 წლის დასაწყისში მენშევიკების — ხალხის ამ გათახსირებული მოღალატეებისა და გამყიდველების მოწვევით — აჭარას ინგლისი დაეპატრონა.

მენშევიკები მხეცური შოვინიზმის ორგანიზატორები იყვნენ. ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ ამიერ-კავკასიის ერებს და ომის პოლიტიკას აწარმოებდნენ.

საქართველოს და აჭარის მშრომელი ხალხის დაუღალავმა გმირულმა მუშაობამ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით თავისი ნაყოფი გამოიღო; საქართველოს მუშებმა და გლეხებმა რუსეთის მუშათა კლასისა და გმირული წითელი არმიის დახმარებით 1921 წელს დაამსხვრია მენშევიკების ბატონობის ბორკილები და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარა.

დაიწყო აჭარის ხალხის ახალი ისტორია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მშრომელმა გლეხობამ მიიღო მემამულეებისა, ბეგებისა, კულაკებისა და სხვა ექსპლოატატორებისათვის ჩამორთმეული რამდენიმე ათასი ჰექტარი საუკეთესო მიწები. დაქუცმაცებული ინდივიდუალური მეურნეობების ნაცვლად შეიქმნა კოლექტიური მეურნეობები. სწრაფად იზრდება კოლმეურნეთა შეძლებულობა.

აჭარის მშრომელებმა საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად ააშენეს სოციალისტური საზოგადოება, საბოლოოდ მოსპეს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ყოველგვარი შესაძლებლობა, შექმნეს ბედნიერი და შეძლებული ცხოვრება.

ლენინ-სტალინის პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ურყევად გატარების საფუძველზე საბჭოთა აჭარა აყვავდა და მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში ჩადგა.

გამოძიებამ დაადასტურა, რომ აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია დაარსდა 1933 წლის აგვისტო-სექტემბერში. თავისი ამოცანების განსახორციელებლად აჯანყების მომწყობმა კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ ფართოდ გაშალა მუშაობა: ერთის მხრით დაუკავშირდა ყოფილ კულაკებს, აღალარებს, მოლა-ხოჯებს, კომუნისტური პარტიიდან გაძევებულ და მასთან მიტმასნილ პირებს და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტებს, ხოლო მეორე მხრით კავშირი გააბა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აჭარიდან გაძევებულ და უცხო სახელმწიფოში შეხიზნულ ემიგრანტებთან.

„კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, — ამბობს ბრალდებული ზაქერია ლორთქიფანიძე, — კავშირი ჰქონდა აჭარელ იმიგრანტებთან, რომლებიც გაქცეული არიან აჭარიდან საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ, როგორიც არიან ბეგები ხიმშიაშვილები, ბიბან-ზადეები და ხოჯები, მოლა აქიფი გოგიბერიძე, მოლა ასეინი და სხვები, რომლებიც დახმარებას გვიწევდნენ კონტრრევოლუციურ მუშაობაში, ხოლო სამაგიეროდ მათ აღვუთქვით ჩამორთმეული ბინებისა და სხვა ქონების დაბრუნება“.

აქედან გასაგებია, რას აპირებდნენ მშრომელი გლეხობის ხარჯზე მოლებისა და ხოჯების ეს მოსყიდული აგენტები. აჯანყების მომწყობი კონტრრევოლუციური ორგანიზაციის გაფორმების დღიდან მის წევრებს არ დაუკარგავთ არცერთი საათი თავიანთი საზიზღარი კონტრრევოლუციური საქმიანობის დროს. ისინი მუდამ, შინ და გარეთ, სამუშაოზე თუ მივლინებაში ყოფნის დროს ერთსა და იმავე საქმეს აკეთებდნენ — ცდილობდნენ თავის გარშემო შემოეკრიბათ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები და შეედგინათ მათგან შეიარაღებული ბანდები.

1935 წლის ბოლო რიცხვებიდან აჭარის კონტრრევოლუციურმა ორგანიზაციამ ზაქერია ლორთქიფანიძის მეთაურობით გააჩაღა მუშაობა იმისათვის, რომ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის გამცემლური საქმიანობა დაეკავშირებინა აჭარის ტერიტორიაზე მომქმედ ყველა სხვა კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებთან.

გამოძიებით გამორკვეულია, რომ აჭარაში 1935 წლიდან მოქმედებდნენ კონტრრევოლუციური ტროცკისტულ - ტერორისტული და მავნებლური ჯგუფები ბრალდებულ გიორგი რამიშვილის მეთაურობით. ეს ჯგუფები ბათუმში ჩამოყალიბდნენ კონტრრევოლუციურ - ტროცკისტულ - მემარჯვენეთა ორგანიზაციის საქართველოს ცენტრის — ბუდუ მდივანის, მალაქია ტოროშელიძის, გერმანე მგალობლიშვილის და სხვათა უშუალო მითითებით და ხელმძღვანელობით.

ასე ჩამოყალიბდა და შეიქმნა აჭარაში კონტრრევოლუციურ - ტროცკისტული საჯანყებო ჯგუფი და მისი ბლოკი ყველა ჯურის კონტრრევოლუციური პარტიების ნამსხვრევებთან. ასეთი იყო მათი მიზნები და ამოცანები.

ახლა დავასახელოთ ის საშუალებები და გზები, რომლებიც აირჩია ბანდიტთა ამ ხროვამ თავისი მიზნების მისაღწევად.

კლასობრივმა მტრებმა კარგად იციან, რომ საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება საბჭოთა წყობილების წმინდათაწმინდაა, სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების, ყველა მშრომელთა კულტურული, შეძლებული და ბედნიერი ცხოვრების ხელუხლებელი საფუძველია. ამიტომ ხალხის ამ დაუძინებელმა მტრებმა გაშალეს მავნებლური მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

1936 წელს აჭარის კონტრრევოლუციურ - ტროცკისტულმა ჯგუფმა საქართველოს კონტრრევოლუციური ცენტრისაგან და ერთერთი ბურჟუაზიული სახელმწიფოს დაზვერვის ორგანოსაგან მიიღო დირექტივა დაეწყო მავნებლური, ძირგამომთხრელი მუშაობა სახალხო მეურნეობაში. ამ დირექტივების განსახორციელებლად აჯანყების მომწყობმა ორგანიზაციამ შეიმუშავა სპეციალური გეგმა და გააჩაღა მავნებლური მუშაობა მრეწველობის, ჯანმრთელობის და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგში.

ხალხის მტრები კოლმეურნეობებიდან უკანონოდ რიცხავდნენ აქტიურ წევრებს და ამით ცდილობდნენ მშრომელთა თვალში სახელი გაეტეხათ კოლმეურნეობებისათვის. განზრახ აფერხებდნენ სტახანოვური მოძრაობის განვითარებას, და სიმულანტების, ზარმაცებისა და სხვა არამშრომელი ელემენტებისათვის ხელის შეწყობის გზით დაღუპვისაკენ მიჰყავდათ კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმე. ისინი ანადგურებდნენ ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციებს, ხოცავდნენ მუშა პირუტყვს, მავნებლობის მიზნით აქუცმაცებდნენ კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებს.

ეს გაცოფებული ქოფაკები, სამშობლოს უბოროტესი მტრები არ კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ მავნებლობას ეწეოდნენ სოფლის მეურნეობაში, რომ უცხო კაპიტალისტური ქვეყნის დაზვერვას აწვდიდნენ ჯაშუშურ ცნობებს. მათ განზრახული ჰქონდათ აეფეთქებინათ ფაბრიკა-ქარხნები, გზების მნიშვნელოვანი ობიექტები, მოესპოთ ჩვენი საამური, სასიხარულო და ბედნიერი ცხოვრების შემოქმედი ადამიანები — ეს უძვირფასესი კაპიტალი.

ეს ცოფიანი მგლები ჰკლავდნენ საბჭოთა ადამიანებს არა მარტო ტყვიით, გალესილი ხანჯლით ან ყუმბარით, არამედ მომწამლავ ნივთიერებათა გამოყენებითაც.

ეს შხამიანი გველები იქამდე მივიდნენ, რომ ჩაიდინეს ისტორიაში გაუგონარი, აღმაშფოთებელი დანაშაული: ძუძუმწოვარ ბავშვებს, რომელთაც მოედო დაავადება, ნაცვლად იმისა, რომ დაუყოვნებლივ გაეჩაღებინათ ბრძოლა ეპიდემიის წინააღმდეგ, მოაკლეს დახმარება, ჩაშალეს ექიმთა ბრიგადების ადგილზე მივლინება, რის შედეგადაც დაავადება ერთი-ორად გაიზარდა და სიკვდილიანობის შემთხვევებმაც იმატა.

ასე, მაგალითად, გასულ წელს ჩაქვსა და სალიბაურში გავრცელდა წითელას ეპიდემია. იქ ექიმების დაგზავნა განზრახ ჩაშალეს. ამის შესახებ აქ უსირცხვილოდ ილაპარაკა ბანდიტთა ჯგუფის ერთერთმა წევრმა, ჯანმრთელობის ყოფილმა სახალხო კომისარმა ოსმან კონცელიძემ. თქვენ მოისმინეთ მისი განმარტება იმის შესახებ, რომ იქ, სადაც საჭირო იყო, ვთქვათ, შინაგანი ექიმი ჰგზავნიდნენ ყურის და თვალის ექიმებს, და პირიქით. ხულოს რაიონში 16 საექიმო პუნქტს მომსახურებას უწევდა მხოლოდ სამი ექიმი. ეს იმ დროს, როდესაც შტატით გათვალისწინებული ექიმები, რომლებიც ჯამაგირს ღებულობდნენ, ბათუმში დახეტიალობდნენ.

იყო შემთხვევა, როდესაც მავნებლობის მიზნით, ერთერთი აფთიაქიდან ნაცვლად სასწრაფო დახმარების წამლისა გაიცა ლილით შეფერილი უბრალო წყალი.

ასეთია მოკლედ ის დამანგრეველი მუშაობა, რომელიც ფაშიზმის ამ საზიზღარმა აგენტებმა გასწიეს.

საბჭოთა ხელისუფლებისა და საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების შერყევის მიზნით კონტრრევოლუციური ორგანიზაცია სისტემატურად აგროვებდა თავისი წევრების მეშვეობით ჯაშუშურ ცნობებს, როგორც სამხედრო უწყების, ისე სახალხო მეურნეობის სხვა მნიშვნელოვანი დარგების შესახებ და აწვდიდა ერთერთი უცხო სახელმწიფოს დაზვერვას, რაშიაც ფულს ღებულობდა.

აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებით ეს არამზადები, ხალხის მტრები დივერსიულ აქტებსაც ამზადებდნენ. გამოძიებით დადასტურდა, რომ აჯანყების მომენტში უნდა აეფეთქებინათ რკინიგზის გვირაბი მწვანე კონცხზე. ასეთივე აქტები მზადდებოდა ცალკე ფაბრიკა-ქარხნებში და გზებზე. რა თქმა უნდა, ასეთი აღმაშფოთებელი დივერსიული აქტები ადამიანთა დიდ მსხვერპლსაც გამოიწვევდა.

კონტრრევოლუციონერთა ეს ბანდა წარმოადგენს, ჩვენი სახელოვანი შინსახკომის ორგანოების მიერ გამომჟღავნებული და ლიკვიდირებული ტროცკისტულ-ზინოვიევური ცენტრის, საქართველოს მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ცენტრის ადგილობრივ ბუდეს. ამიტომ მთელი ის პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრა მოღალატეთა ცენტრის წევრებს, უნდა დაეკისროს მთლიანად ამ ბანდასაც.

კონტრრევოლუციური ტროცკისტულ - ზინოვიევური ცენტრისა და ტროცკისტული პარალელური ცენტრის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა და შესრულდა ტერორისტული აქტი პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის მებრძოლის, სახელოვანი კომუნისტური პარტიის მგზნებარე ტრიბუნის სერგეი მირონის-ძე კიროვის მიმართ. აჭარის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ამ გაცოფებულ ქოფაკებსაც უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა ამ აღმაშფოთებელი დანაშაულისათვის.

გამოძიებით დადასტურდა, რომ კონტრრევოლუციური ჯაშუშური ორგანიზაცია ამზადებდა ტერორისტულ აქტს საქართველოს კომუნისტური პარტიის მებრძოლი ხელმძღვანელის, დიდი სტალინის ერთგული მოწაფის ამხ. ლავრენტი ბერიას მიმართ. არამზადა, ვის თავშიაც დაიბადა ეს შემაძრწუნებელი აზრი, უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა!

აი ის გზები და საშუალებანი, რომლებსაც მიმართავდნენ ეს არამზადები თავიანთი საზიზღარი მიზნების განსახორციელებლად.

აჯანყების დაწყების მომენტში კონტრრევოლუციურ კომიტეტს უნდა გამოეშვა მოწოდება — პეტიცია, რითაც ეს უბადრუკნი მიმართავდნენ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს მათი „დამოუკიდებელი“ მთავრობის ცნობის შესახებ.

როგორც გამოძიებით გამოირკვა, კონტრრევოლუციონერთა სალაყბო „მეჯლისი“ უნდა შემდგარიყო ყოფილი კულაკებისა, აღალარებისა, მოლებისა, ბეგებისა, ხალხის ამ საზიზღარი მტრების წარმომადგენელთაგან მემედ-ბეგ აბაშიძის თავმჯდომარეობით, ხოლო მინისტრთა პორტფელები ამ არამზადებს წინასწარ ჰქონდათ განაწილებული.

მოღალატენი ანგარიშში მოსტყუვდნენ. მათ დანაშაულზე წაასწრეს.

ჩვენი ქვეყანა, დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, უძლეველი და ურყევია. არ არსებობს დედამიწაზე ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს საბჭოთა ხალხის ძლიერების შერყევა, რადგან ეს ძლიერება დამყარებულია მასების უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებაზე თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი, ლენინურ-სტალინური პარტიისადმი, დამყარებულია სახელოვანი მუშურ-გლეხური წითელი არმიის სიძლიერეზე. ჩვენი წითელი არმია ფხიზლად დგას საბჭოთა საზღვრების სადარაჯოზე, ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების სადარაჯოზე და გაანადგურებს ყველას, ვინც გაბედავს ჩვენი საზღვრების ხელყოფას.

ჩვენი სახელოვანი წითელი არმია მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად ურყევად ახორციელებს დიდი სტალინის მითითებას, რომ „ჩვენ არ გვინდა სხვისი მიწის არცერთი მტკაველი, მაგრამ ჩვენს მიწას, ჩვენი მიწის ერთ გოჯსაც არავის დავუთმობთ“.

სახელოვანი შინსახკომის ორგანოებმა, რომელსაც ხელმძღვანელობს დიდი სტალინის ერთგული მოწაფე, სახელოვანი ჩეკისტი ამხ. ნიკოლოზ ეჟოვი, გამოამჟღავნეს სხვა ჯაშუშებთან ერთად ქვეწარმავალთა ეს სამგზის საზიზღარი ბანდაც. შინსახკომელთა ფხიზელ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩება ქვეწარმავალთა არცერთი სორო. ისინი გამოააშკარავებენ ყველა მტერს, როგორადაც უნდა ინიღბებოდნენ ისინი, რადგან შინსახკომი ეყრდნობა მასებს, მათს სიფხიზლესა და შეგნებას, მათს უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას სოციალისტური სამშობლოსადმი.

ვცნობ რა დამტკიცებულად საბრალდებო დასკვნით ამ ცოფიან მგელთა ხროვის მიმართ წარდგენილ ბრალდებას — სამშობლოს ღალატსა, შეიარაღებული აჯანყების მომზადებასა, ჯაშუშობასა, მავნებლობასა, დივერსიული და ტერორისტული აქტების მომზადებაში, — მოვითხოვ — თერთმეტსავე ბრალდებულს შეეფარდოს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

ბრალდებულთა საბოლოო სიტყვები

ზ. ლორთქიფანიძის საბოლოო სიტყვა

თავმჯდომარე საბოლოო სიტყვას აძლევს ზაქერია ლორთქიფანიძეს.

ლორთქიფანიძე — სალაპარაკო თითქოს არაფერი დამრჩა, თავს სავსებით დამნაშავედ ვცანი, ვაღიარე ყველაფერი... ბრალდებულს ენა ებმის, სიტყვებს ვერ პოულობს.

ჩემი გამართლება არ შეიძლება. ვგრძნობ, რომ ყველასათვის საზიზღარი მოღალატე ვარ და სასჯელის ღირსი, მაგრამ გთხოვთ — ცოლშვილიანი ვარ და როცა ჩემს შესახებ მსჯელობა გექნებათ... მაჩუქეთ სიცოცხლე.

მდიდრის ოჯახიდან არა ვარ და, ვინც მიცნობს, ამიტომ უფრო გაუკვირდება ჩემი მოღალატეობა. იცოდეთ ყველამ, რომ უცხოეთის დაზვერვა ჭლექივით შემპარავია, ამ დაზვერვამ თავის კლანჭებში ჩამიგდო და აქედან დაიწყო ყველა ეს საზიზღრობანი.

ბევრი ჩავითრიე მოღალატეობაში, მეც დავიღუპე თავი. თუ სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, შევეცდები მოვირეცხო ეს სამარცხვინო ლაქა და გავხდე ღირსი საბჭოთა მოქალაქის სახელისა.

გ. რამიშვილის საბოლოო სიტყვა

ოთხი დღის განმავლობაში ამ დარბაზში გადაიშალა შემაძრწუნებელ დანაშაულობათა საშინელი სურათი. ამ დანაშაულთა ჩადენაში მე პირველი ვიყავი და როცა მითხრეს — დამცველი აიყვანეო, მე უარი ვთქვი, რადგან ჩემი დაცვა შეუძლებელია.

არ მაქვს ცუდი წარსული, ნდობით მეპყრობოდა ხელისუფლება და როგორ ბოროტად გამოვიყენე ეს ნდობა? ხშირად, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დღეებში, ვეკითხები ჩემს თავს: რა სჯობია ჩემთვის — სიკვდილი თუ სიცოცხლე? ვამბობ, რომ ყველასთვის საზიზღარ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია (დარბაზიდან — მართალია), მაგრამ სიკვდილი სამარცხვინო ლაქით არ მინდა.

ვთხოვ სასამართლოს მაჩუქოს სიცოცხლე იმიტომ, რომ ის სისხლი, რომელიც ახლა უნდა დამედინოს, დავღვარო სამშობლოს სადარაჯოზე და ამით მოვირეცხო სამარცხვინო ლაქა.

მშრომელთა ინტერესები თუ მოითხოვს ჩემისთანა გარეწარის სიკვდილს, მზად ვარ მშვიდად მივიღო ეს სასჯელი.

ჯ. ქიქავას საბოლოო სიტყვა

ჩემი დანაშაული ისე დიდია, რომ მიმძიმს. ეს მოსაზრება იყო, რომ უარი ვთქვი დამცველზე. ამ უკანასკნელ წუთებში მინდა ვუთხრა ყველას, რომ აჭარის შემდგომი აყვავება, აჭარელი მოსახლეობის ბედნიერება მტკიცედ არის დაკავშირებული მთელი საქართველოს მშრომელების ბედთან. აჭარის კულტურულ-ეკონომიური წინსვლა შეიძლება საბჭოთა საქართველოსთან, საბჭოთა კავშირთან ერთად. უამისოდ აჭარელ მშრომელთ მოელით მონობის მძიმე უღელი.

ვთხოვ სასამართლოს შემინარჩუნოს სიცოცხლე. ამ თხოვნას ვბედავ იმიტომ, რომ საბჭოთა მართლმსაჯულების მიზანი შურისძიება არაა. გთხოვთ ცოცხალი დამტოვოთ.

გ. ლალიძის საბოლოო სიტყვა,

ვერ ვიტყვი, რომ შეუგნებლობით მომივიდა ეს საზიზღრობა. ასეთი დანაშაულობანი არ მეპატიება. ყველა მიხვდება იმ სისულელეს, სიბეცეს და სიბეჩავეს, რომელსაც „ეროვნული პარტიის“ შემქმნელნი ვიჩენდით. ათიოდე დროგადასული ინტელიგენტი შევგროვდით და მოვინდომეთ იმ ხელისუფლების დანგრევა, რომელსაც ვერაფერი დააკლო საერთაშორისო იმპერიალიზმმა, ცოფიანმა ფაშიზმმა.

მაგრამ საბჭოთა სასამართლო არ სჯის იმის მიხედვით, თუ ვინ რა დაიმსახურა, არამედ სჯის მიზანშეწონილობის მიხედვით. თუ ჩემი დასჯა მიზანშეწონილია, მზად ვარ ამისთვის. თუკი სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, სიტყვას გაძლევთ, რომ მთელ ჩემს სიცოცხლეს მსხვერპლად შევწირავ ბედნიერ საბჭოთა ქვეყანას.

ი. მეგრელიძის საბოლოო სიტყვა

მე გამზარდა საბჭოთა ხელისუფლებამ, მან მომცა განათლება და ბედნიერი ცხოვრება. მოღალატე ვარ, საზიზღარი მავნებელი. ბევრის თქმა არ შემიძლიან. ერთს შეგპირდებით — თუ მაცოცხლებთ, მთელ ჩემს სიცოცხლეს შევწირავ საბჭოთა ხელისუფლებას და გამოვისყიდი ჩადენილ დანაშაულს. გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში, რომ ჯერ ახალგაზრდა ვარ და ჩემი გამოსწორება შეიძლება.

ქ. ბასილაძის საბოლოო სიტყვა

საბჭოთა ხელისუფლებამ გამზარდა, მაგრამ მე მას ვუმტრე. უხერხემლო კაცი ვყოფილვარ, ყველაფერში ყოყმანი მიყვარდა და ადვილად ჩავვარდი ჯაშუშ-მავნებელთა ხაფანგში. ყოველგვარი სასჯელის ღირსი ვარ, მაგრამ, მაქვს რა იმედი საბჭოთა მართლმსაჯულების სულგრძელობისა, გთხოვთ შემინარჩუნოთ სიცოცხლე.

ს. ბეჟანიძის საბოლოო სიტყვა

დღეს საბრალდებულო სკამზე ზის 11 ბოროტმოქმედი, რომელთა შორის ერთერთი მეცა ვარ. ჩავები რა კონტრრევოლუციურ-ტერორისტულ ორგანიზაციაში, ვუღალატე სამშობლოს და ვეწეოდი დამანგრეველ მუშაობას. ჩემი საზიზღარი საქმიანობის შესახებ საგამომძიებლო ორგანოებს დაწვრილებითი ჩვენება მივეცი და ვაღიარე ის მავნებლური საქმიანობა და დანაშაული, რომელიც ჩავიდინე აჭარელი ხალხის ბედნიერი ცხოვრების წინააღმდეგ. დიდია ჩემი დანაშაული, მაგრამ მაინც ვთხოვ საბჭოთა მართლმსაჯულებას შემინარჩუნოს სიცოცხლე, რომ შემდეგში შრომითა და ბრძოლით მოვიპოვო პატიოსანი საბჭოთა მოქალაქის სახელი.

ხ. ძნელაძის საბოლოო სიტყვა

ჩემი საზიზღარი მოქმედების შესახებ მე გულწრფელად მოვახსენე სასამართლოს. ჩავეშვი კონტრრევოლუციურ-მავნებლური ორგანიზაციის აშმორებულ ჭაობში და ვეწეოდი უსაზიზღრეს დანაშაულს, მაგრამ შინსახკომმა მე დანაშაულზე წამასწრო და მაგრად ჩამჭიდა კისერში ხელი. ქვეყანაზე არ არის იმაზე მეტი დანაშაული, ვიდრე ვუღალატო სამშობლოს. მე ვუღალატე სამშობლოს და ვცდილობდი პირსისხლიანი ფაშისტებისათვის მიმეყიდნა ის. დიდია, უსაძაგლესია ჩემი დანაშაული, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია, მას მრავალი ადამიანი აღუზრდია და გამოუსწორებია. მე ვთხოვ სასამართლოს შემინარჩუნოს სიცოცხლე და ჩემი ფიზიკური შრომით გამოვასწორებ დანაშაულს.

ხ. ჩალ-ოღლის საბოლოო სიტყვა

მე ჩავიდინე უმძიმესი დანაშაული, ვუღალატე სამშობლოს. შემინარჩუნეთ სიცოცხლე და გამოვისყიდი ამ დანაშაულს.

ო. რომანაძის საბოლოო სიტყვა

პასუხისგებაში არასოდეს არ ვყოფილვარ, პირველად დავჯექი საბრალდებულო სკამზე. მე არც ისე მოხუცი ვარ, შემიძლია გამოვისყიდო ჩემი მძიმე დანაშაული და გთხოვთ, პატივცემულო მოსამართლენო, მომცეთ ამის საშუალება.

ო. ვანაძის საბოლოო სიტყვა

მე ერთი უსწავლელი კაცი ვარ. საზიზღარმა მავნებლებმა დამღუპეს, ჩამითრიეს ორგანიზაციაში. რა უნდა ვთხოვო სასამართლოს იმის შემდეგ, რაც ასეთი დიდი დანაშაული ჩავიდინე... (სწუხს, ენა ებმის)

თავმჯდომარე — რას სთხოვთ სასამართლოს?

ვანაძე — ნუ დამღუპავთ, მაჩუქეთ სიცოცხლე.

განაჩენის დასასრული

ტიური მონაწილე და ერთერთი ხელმძღვანელი კონტრრევოლუციური ფაშისტურ - დივერსიულ-მავნებლურ-საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, კაპიტალისტური წესწყობილების დამყარებას და აჭარის ჩამოშორებას საბჭოთა კავშირისაგან, იყო ხელმძღვანელი კონტრრევოლუციური ორგანიზაციისა ხულოს რაიონში, აწარმოებდა წევრების ჩაბმას კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში, ჰქმნიდა რაზმებს აჯანყების მოსაწყობად, ხელმძღვანელობდა მავნებლობას სოფლის მეურნეობაში ხულოს რაიონში, ე. ი. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58-2, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

8. ხასან იუსუფის-ძე ძნელაძეს ბრალი ედება იმაში, რომ იყო აქტიური წევრი და მონაწილე კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენას და აჭარის ჩამოშორებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან, 1936 წლის მარტიდან იყო ქობულეთის რაიონული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ხელმძღვანელი, მეთაურობდა მავნებლობას ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში, ე. ი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58-2, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

9. ხასან ხალიფის-ძე ჩალ-ოღლის ბრალი ედება იმაში, რომ იყო აქტიური მონაწილე კონტრრევოლუციური დივერსიულ-მავნებლური საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და აჭარის ჩამოშორებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით სპეციალურად შევიდა კოლმეურნეობაში მისი დაშლის მიზნით და აწარმოებდა ძირგამომთხრელ მავნებლურ მუშაობას, ე. ი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58-2, 58-9, და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

10. ოსმან რეჯების-ძე რომანაძეს ბრალი ედება იმაში, რომ იყო აქტიური მონაწილე კონტრრევოლუციური მავნებლურ - საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების გზით აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენას და აჭარის ჩამოშორებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან, იყო რა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით კოლმეურნეობაში აწარმოებდა მავნებლურ მუშაობას, ე. ი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-2-ა, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

11. ოსმან თერჯანის-ძე ვანაძეს ბრალი ედება იმაში, რომ იყო აქტიური მონაწილე კონტრრევოლუციური მავნებლურ - ჯაშუშური საჯანყებო ორგანიზაციისა, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენას და აჭარის ჩამოშორებას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან, იყო რა კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე, კონტრრევოლუციური ორგანიზაციის დავალებით კოლმეურნეობაში ეწეოდა მავნებლურ მუშაობას, ე. ი. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-2-ა, 58-9 და 58-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულში.

ყოველივე ზემოდანიშნულის გამო აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალური შემადგენლობა, სთვლის რა, რომ ზემოთჩამოთვლილი ბოროტებანი და დანაშაული ბრალდებულების: 1. ზ. ლორთქიფანიძის, 2. ჯ. მ. ქიქავასი, 3. გ. ე რამიშვილის, 4. გ. ე. ლალიძის, 5. ი. ი. მეგრელიძის, 6. ქ. ხ. ბასილაძის, 7. ს. უ. ბეჟანიძის და 8. ო. რ. რომანაძისა მიმართული იყო აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, რისთვისაც მათ აცხადებს ხალხის მტრებად და, იხელმძღვანელა რა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 319 და 320 მუხლებით და თანახმად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 58-1-ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით, **აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა შემადგენლობამ მიუსაჯა:**

1. ზაქერია დურსუნის-ძე **ლორთქიფანიძეს,**
2. ჯემალ მახმუდის-ძე **ქიქავას,**
3. გიორგი ერასტის-ძე **რამიშვილს,**
4. გრიგოლ ერმოლოს-ძე **ლალიძეს,**
5. ილიას ისმაილის-ძე **მეგრელიძეს,**
6. ქიაზიმ ხასანის-ძე **ბასილაძეს,**
7. სულეიმან იუსუფის-ძე **ბეჟანიძეს** და
8. ოსმან რეჯების-ძე **რომანაძეს** სასჯელის უმაღლესი ზომა — **დახვრეტა** ყველას მიმართ პირადი ქონების კონფისკაციით.

ბრალდებულებს: 1. ხასან ხალიფის-ძე **ჩალ-ოღლის** მიესაჯოს ციხეში მოთავსება ათი წლით, ჩაეთვალოს წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო 1937 წლის 25 ივლისიდან,

2. ხასან იუსუფის-ძე **ძნელაძეს** მიესაჯოს ციხეში მოთავსება ათი წლით, ჩაეთვალოს წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო 1937 წლის 3 აგვისტოდან.

3. ოსმან თერჯანის-ძე **ვანაძეს** მიესაჯოს ციხეში მოთავსება რვა წლით, ჩაეთვალოს წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო 1937 წლის 21 აგვისტოდან.

თანახმად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 31 მუხლის ა პუნქტისა, ბრალდებულებს ჰასან ჩალ-ოღლის, ჰასან ძნელაძეს და ოსმან ვანაძეს სასჯელის მოხდის შემდეგ ხუთ-ხუთი წლით ჩამოერთვათ საარჩევნო ხმის უფლება.

განაჩენი საბოლოოა და არ გასაჩივრდება და სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი დაუყოვნებლივ, თანახმად საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 1 დეკემბრის კანონისა.

აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალური შემადგენლობის თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოც. რესპ. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
რეჯებ ჯინჭარაძე
წევრები: იუსუფ კორძაია,
ვ. ჩიტია.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ მოისმინა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს სამშობიარო სახლების, საბავშვო ბაგებისა და სარძეო სამზარეულოების მშენებლობა, რომელსაც საქართველოს სსრ ჯანსახკომი ანხორციელებს.

სახკომსაბჭომ აღნიშნა, რომ სამშობიარო სახლებისა და საბავშვო ბაგების მშენებლობა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 1937 წლის 20 სექტემბრისათვის მშენებლობის მზადყოფნა რესპუბლიკაში სულ 38 პროცენტს შეადგენდა. განსაკუთრებით ჩამორჩება „საქართველოს ჩაის“ და ლიმმანტრესტის სისტემის ხაზით წარმოებული მშენებლობა. ჩამორჩენილია მშენებლობა ხაშურისა და ზესტაფონის რაიონებსა, აფხაზეთსა და აჭარის ასს რესპუბლიკებში.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მშენებლობა ქალ. თბილისში. მშენებლობანი, რომლებიც დამთავრებული უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ 1936 წლის ივლისში, 1937 წლის 20 სექტემბრისათვის მზად იყვნენ მხოლოდ 89 პროცენტით. ხოლო მშენებლობანი, დაწყებულნი 1937 წელს, ამ რიცხვისათვის მზად არიან 9 პროცენტით.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ სცნო, რომ სამშობიარო სახლებისა და საბავშვო ბაგების მშენებლობის არადამაკმაყოფილებელი მიმდინარეობის ძირითადი მიზეზია ის, რომ ამ მშენებლობას აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, რაიაღმასკომთა თავმჯდომარეები, თბილისის საქალაქო საბჭო და „საქართველოს ჩაისა“ და ლიმმანტრესტის დირექტორები სუსტად ხელმძღვანელობენ და საკმარ ყურადღებას არ აქცევენ. საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ აგრეთვე აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ ჯანსახკომის სამშენებლო სამმართველოს (ამხ. ფოცხიშვილი) არ უზრუნველუყვია მშენებლობა სათანადო ოპერატიული ხელმძღვანელობითა და დახმარებით, და გააფრთხილა იგი, რომ თუ არ გარდაქმნის თავის მუშაობას და არ უზრუნველჰყოფს სამშობიარო სახლებისა და საბავშვო ბაგების მშენებლობის დამთავრებას დაწესებულ ვადებში, სასტიკად იქნება დასჯილი მნიშვნელოვან ობიექტთა მშენებლობის ჩაშლისათვის.

სამშობიარო სახლებისა და საბავშვო ბაგების მშენებლობის დროზე დამთავრების უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა საქართველოს სსრ ჯანსახკომს, აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ-ოსეთის ცაკებს, რაიაღმასკომთა თავმჯდომარეებს და „საქართველოს ჩაის“ და ლიმონ-მანდარინის ტრესტების დირექტორებს დაუყოვნებლივ გაშალონ მშენებლობა იმ ანგარიშით, რომ სამშობიარო სახლებისა და საბავშვო ბაგების ყველა დაწყებული მშენებლობა დამთავრებულ იქნას ა.-წ. 1 დეკემბრისათვის.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ მომმარაგებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალა მათი პირადი პასუხისმგებლობით ზუსტად დაწესებულ ვადებში რეალიზაცია უყონ ამ მშენებლობათათვის გამოყოფილ ფონდებს.

მშენებლობის მიმდინარეობისათვის კონტროლის გაწევის უზრუნველსაყოფად საქართველოს ჯანსახკომს ამხ. გელაშვილს და თბილისის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ბუჯიაშვილს წინადადება აქვთ მიცემული წარუდგინონ სახკომსაბჭოს ყოველდეკადური ცნობები მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

გამფლანგველები კოოპერაციის აპარატში

გურჯაანის რაიკოოპკავშირის ყოფილი ხელმძღვანელები: კინიფრიშვილი, მიტოჩაშვილი, შაუტაშვილი დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდნენ დამარღვეველ მუშაობას სავაჭრო დარგში და თავის გარშემო იკრებდნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს. მათ ყოველნაირად უჭერდა მხარს გურჯაანის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, მავნებელი ოქროპირიძე.

ქალაქის კოოპერატივის გამგე ირაკლი ჯორჯაძემ, რომელსაც გურჯაანის რაიაღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე ოქროპირიძე და რაიკოოპკავშირის ყოფილი თავმჯდომარე კინიფრიშვილი მფარველობდნენ, გაფლანგა 12 ათასი მანეთი. ჯორჯაძის საქმე გაარჩია გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლომ და 12 ათასი მანეთის გამფლანგველს მიუსაჯა... ერთი წლით იძულებითი მუშაობა. ჯორჯაძე კვლავ თავის თანამდებობაზეა და შ. მათიაშვილთან ერთად ყოველნაირად ცდილობს გაავსოს კოოპერაციის სავაჭროები საეჭვო ელემენტებით.

გამფლანგველი გ. ბადურაშვილი ყანდაურის სოფლის კოოპერატივიდან რაიკოოპკავშირის ექსპედიტორად დააწინაურეს. კოოპერატივის გამგედ დანიშნეს გამფლანგველი, პოლიტიკურად საეჭვო ელემენტი ლ. ტაველიაშვილი. დანარჩენ გამფლანგველებსა და ყოფილ ვაჭრებს მათ შემდეგნაირად გაუნაწილეს თანამდებობანი: ი. შიუკაშვილი დანიშნეს ახტალის სასადილოს გამგედ, ი. რექვიაშვილი — საწყობის გამგედ, ა. ოკინაშვილი — გასტრონომიული მაღაზიის გამგედ და ა. შ.

მოვითხოვთ კოოპერაციის აპარატის გაწმენდას უცხო და გადაგვარებული ელემენტებისაგან.

„მსუბუქი კავალერიის“ ბრიგადა:
ი. გორელიშვილი
ა. ანტონოვი
ი. შოშიაშვილი
ზ. ყვირილაშვილი

დადგენილება არ სრულდება

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით მასწავლებლობას უნდა გაეწიოს კომუნალური მომსახურება (მიეცეს ბინა, გათბობა, განათება), მაგრამ რუისის (ხაშურის რაიონი) სასოფლო საბჭოში ამ დადგენილებას არ ასრულებენ.

9 თვე გადის, რაც სოფ. რუისის დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს კომუნალური მომსახურებისათვის ერთი მანეთიც არ მიუღიათ. ორაჯერ მიმართეს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს, მაგრამ იგი ყოველთვის ასეთ პასუხს იძლევა: „ფული არა გვაქვსო“.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამკითხველოს გამგეს — მარგ. სამსონაშვილს 6 თვის ხელფასი არა აქვს მიღებული.

დროა რუისის საბჭოს ხელმძღვანელებმა უზრუნველჰყონ მასწავლებლობა კომუნალური მომსახურებით.

ზ. ზუბიაშვილი.

თესლბრუნვის საკითხები

სოფლის მეურნეობის სოციალისტური ფორმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება და მექანიზაციის ფართოდ გამოყენება სრულ შესაძლებლობას გვაძლევს სხვა კულტურებთან ერთად მაქსიმალურად გავზარდოთ სიმინდის და სოიას მოსავლიანობა, კერძოდ, ზესტაფონის რაიონის სუბტროპიკული პირობები — საკმაო სითბო და სინესტის სიუხვე — სრულ შესაძლებლობას გვაძლევს წლის განმავლობაში ერთსადაიმავე ნაკვეთზე მოვიყვანოთ ორი მოსავალი, რითაც, ერთის მხრივ, გავაუმჯობესებთ ნიადაგის ქიმიურ და ფიზიკურ პირობებს და, მეორე მხრივ, სოციალისტურ მესაქონლეობას უზრუნველვყოფთ საკვები ბაზით.

აჯამეთში ჩატარებულმა საცდელმა მუშაობამ დაგვანახვა, რომ სიმინდის აღების შემდეგ იმავე ნიადაგზე ნოემბერში დათესილი ფიგის წმინდა ნათესის თვითეულ ჰექტარს, რომელიც მომდევნო წლის 5 მაისს იქნება აღებული, შეუძლია მოგვცეს 190 ცენტნერი ნედლი მასალა, ე. ი. 50 ცენტნერი პროდუქტიული თივა.

მეორე შემთხვევაში ფიგის კულტურის ჭვავთან ერთად თესვამ ჰექტარზე 215 ცენტნერი ნედლი მასალა ანუ 68 ცენტნერი თივა მოგვცა. მესამე შემთხვევაში ჭვავთან ერთად 50 პროცენტი ფიგის თესლის შერევით ჰექტარიდან მიღებულ იქნა 61 ცენტნერი თივა.

მეოთხე შემთხვევაში კი, როცა მარტო ფიგის თესლი მეორე თოხნის დროს სიმინდის ყანებში იქნა ჩათესილი, 1 ჰექტარზე მივიღეთ 23 ცენტნერი პროდუქტიული თივა.

ზემოაღნიშნულმა ცდებმა ნათლად დაადასტურეს, რომ თესლთა ასეთი ბრუნვა სპობს სარეველა ბალახებს, აადვილებს სიმინდის დამუშავებას, ჰქმნის ნიადაგის სტრუქტურას, ამაგრებს და იცავს ნიადაგებს დარეცხვისაგან.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თესლბრუნვას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, მაგრამ კერძოდ დასავლეთ საქართველოში ამ მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა.

აჯამეთის საცდელი სადგურის მიერ მრავალი წლის განმავლობაში ჩატარებულმა დაკვირვებებმა დაადასტურეს, რომ ზესტაფონის რაიონში და განსაკუთრებით მის დაბლობ და საშუალო ნაწილში შესაძლებელია შემოღებულ იქნას შემდეგი სახის ოთხმინდვრიანი თესლბრუნვა:

1. სიმინდი სოიას შეთესვით, პლიუს პარკოსნები ჩასახნავად, ან სიმინდი ლობიოს შეთესვით, პლიუს პარკოსნები — თივად.
2. სიმინდი სოიას შეთესვით, პლიუს ჭვავშერეული ფიგი თივად, ან ერთწლიანი პარკოსანი ბალახები, პლიუს პარკოსნები თივად.
3. ერთწლიანი ბალახები, პლიუს პარკოსნები ჩასახნავად, ან ხორბლეული, პლიუს პარკოსნები ჩასახნავად.
4. სიმინდი ლობიოს შეთესვით, პლიუს პარკოსნები თივად, ან სიმინდი სოიას შეთესვით, პლიუს პარკოსნები ჩასახნავად.

აქ მოყვანილი თესლბრუნვა დასავლეთ საქართველოსათვის და კერძოდ ზესტაფონის რაიონისათვის საჭიროა გადასინჯულ იქნას მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ, რომელმაც უნდა დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი მის ცხოვრებაში გატარებისათვის.

ა. პირველაშვილი.
ზესტაფონის რაიმიწგანის უფროსი აგრონომი

თბილისის ს. კუდრიავცევის სახელობის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში გაშლილია დიდი მუშაობა ფაბრიკის ტერიტორიის გასამწვანებლად. დარგულია ყვავილები, გაკეთებულია კლუმბები, მოწყობილია შადრევანი და სხვ.
სურათზე: მწვანე ხეივანი ფაბრიკის შესასვლელთან.
ფოტო ო. ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

კარგი ხარისხის ხილის წყლები მივაწოდოთ მშრომელთ

საქართველოში უალკოჰოლო სასმელების წარმოება ფართოდ ვითარდება. განსაკუთრებით ხილის წყლების გავრცელებამ ფართო ხასიათი მიიღო. წელს საქართველოში დაახლოვებით 45 მილიონი ბოთლი უალკოჰოლო სასმელი დამზადდება. ეს მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ჩვენ სრული შესაძლებლობა გვაქვს კიდევ უფრო გავზარდოთ ამ სასმელების დამზადება და გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი.

მომხმარებელი მოითხოვს ბუნებრივი ხილის წყალს. ჩვენ შეგვიძლიან მთლიანად გადავიდეთ ამ წყლების წარმოებაზე, რადგან საამისო გარეული და კულტურული ხილი ბლომად მოგვეპოვება. ამასთანავე მდიდარი ვართ სუბტროპიკული ნაყოფით, რომლის ქერქი შეიცავს ეთეროვან ზეთებს და რომლის სპირტის გამონაჟონი დიდად აუმჯობესებს ხილეული წყლის ხარისხს.

საქართველოში მოიპოვება არომატული და სასიამოვნო გემოს ხილიც, გვყავს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებიც. მიუხედავად ყოველივე ამისა, საქართველოში, განსაკუთრებით კი რაიონებში, წყლების ხარისხი დაბალია. ამის მიზეზად ჩაითვლება კადრების დაბალი კვალიფიკაცია. მათ არ გაუვლიათ სპეციალური საგნები. ამიტომ ცხადია, ყველა მათგანი თავისებურად მუშაობს, ყველას თავისი „რეცეპტურა“ აქვს, ყველა თავისი „საიდუმლოებით“ ამაყობს, ხარისხიც სხვადასხვანაირია.

ხილის წყლებით უნდა დაინტერესდეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი. ჯერჯერობით კი მისი უზრუნველობა სრულიად არა სჩანს. რაიონების უალკოჰოლო სასმელების საწარმოებში ყველგან ანტისანიტარული მდგომარეობაა, საცობების დეზინფექცია არ ხდება სიმჟავით, ბოთლები არ ირეცხება ცხელი წყლით, მთელი წლების განმავლობაში არ ჰკალავენ აპარატურას და სხვ.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ცალკე ორგანიზაციები ხსნიან ლიმონათის ქარხნებს ისე, რომ ამის შესახებ არც კი იციან ჯანმრთელობის ორგანოებმა, ხარისხის ინსპექციამ. ამის შედეგად ზოგან ხმარებაშია ჭის უვარგისი წყალი, რომლისაგან მოსალოდნელია დაავადება. აღსანიშნავია ისიც, რომ წყალი სათანადოდ არ იფილტრება, უმეტეს შემთხვევაში ნარჩენ და ჭუჭყიან შაქარს ხმარობენ.

ზოგიერთ რაიონში, მაგალითად, გორში, ჯანმრთელობის განყოფილების თანამშრომელი ხელფასსაც კი იღებს ლიმონათის ქარხნიდან ვითომდა კონტროლის გაწევისათვის, ნამდვილად კი მათი მუშაობა ამ დარგში სრულიად არა სჩანს.

ყურადღება არ ექცევა აგრეთვე ზეთების, საცობების, მჟავების და სხვა მასალის მომარაგებას. ამიტომაა, რომ ფონდირებული სიმჟავის ნაცვლად ქარხნები ხმარობენ აკრძალულ მჟავებს, მათ უმეტესად კუსტარული წესით ამზადებენ. ამისათვის საჭიროა ამ პირველი მოთხოვნილების პროდუქტის წარმოების საქმის დაჩქარებით მოგვარება. რისთვისაც თბილისში უნდა გაიხსნას ხილის წვენისა და სიროფების ქარხანა, რომელიც იმუშავებს უმთავრესად გარეულ ხილზე და გამოუშვებს მაღალხარისხოვან სიროფს.

ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული ხილის წვენის ნაყინი, რაც აიხსნება სათანადო გადამამუშავებელი ქარხნის უქონლობით. ხილის ნაყინს კი დიდი მოთხოვნილება აქვს.

თბილისი წარმოადგენს ყველაზე უფრო მოხერხებულ ადგილს ასეთი ქარხნის ასაშენებლად. საჭიროა კვების მრეწველობის სახ. კომისარიატმა მიხედოს ამ დარგს, მოაგვაროს ასეთი ქარხნის მოწყობა. ამასთან დიდი კონტროლი და დახმარება უნდა გაუწიოს უალკოჰოლო სასმელების წარმოებასაც.

გრ. ამბროლაძე.

ლექსები და სიმღერები ამხანაგ სტალინზე

ლენინგრადი, (საკ. კორ.) ლენინგრადელ პოეტთა ჯგუფმა ნ. ტიხონოვის ხელმძღვანელობით დაამთავრა კრებულის „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“ თარგმნა რუსულ ენაზე.

სულ გადათარგმნილია სამი ათას სტრიქონზე მეტი ლექსი. თარგმანი ეკუთვნის პოეტებს ოსტროვსკის, სოლოვიოვს, როჟდესტვენსკის და სხვ.

წიგნი „ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე“ გამოვა ნ. ტიხონოვის რედაქციით ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავზე.

მზადება რუსთაველის იუბილესათვის

ბორჯომი, (საკ. კორ.) ბორჯომის რაიონში ფართოდ გაიშალა სამზადისი მხატვრული სიტყვის შეუდარებელი ოსტატის შოთა რუსთაველის იუბილესათვის.

შექმნილია საიუბილეო რაიონული კომისია. გათვალისწინებულია საწარმოებსა, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებსა და სკოლებში მოეწყოს რუსთაველისადმი მიძღვნილი მოხსენებები და მხატვრული საღამოები.

იუბილეს დღეებში მოეწყობა ექსკურსია თბილისში რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენის დასათვალიერებლად.

რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით ამხ. ლ. ბერიას სახელობის კულტურის სახლთან არსებული რაიონული ბიბლიოთეკა აწყობს გამოფენას, სადაც წარმოდგენილი იქნება გენიალური პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობა, პოეტის პორტრეტები და სხვ.

იუბილესთან დაკავშირებით რაიონში გავრცელებულია პოეტის 2000-ზე მეტი პორტრეტი.

ახალი სატროლეიბუსო ხაზი

რუსთაველის პროსპექტის მოასფალტება უკვე დამთავრდა და მიმდინარეობს სატროლეიბუსო ხაზის გაყვანა.

ახალი ხაზის ნაწილი უკვე გაყვანილი იქნება შემდეგი მიმართულებით: პლეხანოვის პროსპექტი — ჩელუსკინელთა ხიდი—ლენინის ქუჩა—რუსთაველის პროსპექტი—თავისუფლების მოედანი—პუშკინის ქუჩა—კარლ მარქსის ხიდი—კარლ მარქსის მოედანი, სადაც შეუერთდება არსებულ სატროლეიბუსო ხაზს.

ახალი სატროლეიბუსო ხაზის საზეიმო გახსნა მოხდება ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავზე.

ახალი ხაზის ნაწილი უკვე გაყვანილია პლეხანოვის პროსპექტიდან ჩელუსკინელთა ხიდზე გავლით ლენინის ქუჩამდე. მისი გამოცდა მიმდინარეობდა 25 და 26 სექტემბერს ღამით.

გამოცდამ კარგად ჩაიარა.

„აბესალომ და ეთერი“ მოსკოვის სცენაზე

იანვარში ლენინის ორდენოსანი მოსკოვის დიდი [illegible] ქის მაყურებელთ უჩვენებს ქართული საოპერო ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებს, ზ. ფალიაშვილის ოპერას „აბესალომ და ეთერს“.

ოპერა მიდის პოეტ რიურიკ ივნევის თარგმანით, დგამს რეჟისორი ძ. კვალიაშვილი, მხატვარი ს. ვირსალაძე. დირიჟორობს ა. მელიქ-ფაშაევი, რომელიც კარგად იცნობს ამ ოპერას თბილისიდან, სადაც დაიწყო მან თავისი სადირიჟორო მოღვაწეობა 1921 წელს.

მთავარ პარტიებს ასრულებენ: ეთერი — კრუგლიკოვა, ჟუკოვსკაია, შპილერი; აბესალომი—ხანაევი, ევლახოვი; მურმანი—პოლიტკოვსკი, სელივანოვი; აბიო—გოცირიძე, იახონტოვი; ნათელა—ანტონოვა, ამბორსკაია; მარიხი—ბოროვსკაია, ალექსაანოვა.

„დინამო“—„სპარტაკი“

დღეს, 30 სექტემბერს, ამხ. ბერიას სახელობის სტადიონზე შედგება მორიგი მატჩი „ა“ ჯგუფის საკავშირო პირველობის გათამაშების მეორე წრიდან. ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „სპარტაკის“ ოსტატთა გუნდები.

მოსკოვის „სპარტაკის“ გუნდმა, რომელმაც შარშან საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვა, წელს პირველობის გათამაშების 11 შეხვედრიდან წააგო მხოლოდ ორი, ფრედ დაამთავრა — 2, მოიგო — 7. ამრიგად, 33 შესაძლებლიდან შეაგროვა 26 ქულა და ამ გათამაშებაშიაც ჯერჯერობით ყველაზე წინ მიდის.

„სპარტაკის“ გუნდში შედიან: მეკარე— ა. აკიმოვი; დაცვა — ალ. სტაროსტინი და ვ. სოკოლოვი; ნახევარდაცვა — სტანისლავ ლეუტა, ს. არტემიევი, ან. სტაროსტინი და პ. სტაროსტინი; თავდასხმა— სტეპანოვი, ეიგალინი, სემიონოვი, რუმიანცევი და ტარასოვი.

თბილისის დინამო გამოდის შემდეგი შემადგენლობით: მეკარე — დორონოვი; დაცვა — შავგულიძე და ჭუმბურიძე; ნახევარდაცვა — გაგუა, მინაევი და ჯორბენაძე; თავდასხმა — გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, ვ. ბერძენიშვილი და სომოვი.

მატჩს სჯის ლენინგრადელი ბისტროვი. დასაწყისი სრულ 5 საათზე.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში.

1 ოქტომბერს.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლება ფარული კენჭისყრით საბჭოთა კავშირში“. კონსულტანტებია რუსულ ენაზე ამხ. კვაჭაძე, ქართულ ენაზე — ამხ. წერეთელი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

O

1 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში რაიონის პარტაქტივისათვის შედგება ამხ. შარიას მოხსენება თემაზე: „მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ სტალინური კონსტიტუციის თვალთახედვით“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ე. ბედია

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმში

მოსკოვი, 27 სექტემბერი (საკ-დესი). 27 სექტემბერს ამხ. მ. ი. კალინინის თავმჯდომარეობით შესდგა სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომის დარბაზში თავი მოიყარეს „ანტ—25“-ის სახელოვანმა ეკიპაჟმა, რომელმაც ჩრდილოეთის პოლუსით გზა გაჰკაფა მოსკოვიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა ჯგუფმა, სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის გამოჩენილმა მუშაკებმა, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან განსაკუთრებული წარმატებისათვის რუსული თეატრალური ხელოვნების საქმეში.

მებრძოლი სტალინური შევარდნები, საჰაერო სივრცეთა გაბედული დამპყრობნი, პირველნი ღებულობენ ჯილდოებს, რომლითაც მათი გმირობა აღნიშნა საკავშირო მთავრობამ. სულით და გულით ულოცავს რა მძლავრი წითელფრთიანი ფრინველის „ანტ—25“-ის მეთაურს საბჭოთა კავშირის გმირს ვალერი ჩკალოვს, ამხ. კალინინი აბარებს მას წითელი დროშის ორდენს და ფულადს ჯილდოს — 30 ათას მანეთს. შეკრებილნი მხურვალე ტაშით მიესალმებიან „ანტ—25“-ის მეთაურსა და მის ამხანაგებს.

— ამხანაგებო, მთავრობის წევრებო, — ამბობს ამხ. ჩკალოვი, — ნება მიბოძეთ „ანტ—25“-ის ეკიპაჟის სახელით მადლობა მოგახსენოთ ჩვენი მუშაობის ესოდენ მაღალი შეფასებისათვის. ნება მიბოძეთ სიტყვა მოგცეთ თქვენ, რომ ეკიპაჟი მიღწეულ წარმატებებს არ დასჯერდება და ეცდება უახლოეს მომავალში ერთხელ კიდევ მოუხვეჭოს სახელი ჩვის სამშობლოს.

ამხ. ჩკალოვის შემდეგ წითელი დროშის ორდენსა და ჯილდოს, თითო 30.000 მანეთის რაოდენობით, იღებენ მისი მეგობრები და თანამებრძოლნი — საბჭოთა კავშირის გმირები გიორგი ბაიდუკოვი და ალექსანდრე ბელიაკოვი.

შემდეგ ამხ. კალინინი აბარებს ლენინის ორდენს სახელმწიფო აკადემიური მცირე თეატრის კოლექტივს, იმ თეატრის კოლექტივს, რომელსაც აქვს ასი წლის ისტორია, რომელიც არის რუსული დრამის მამამთავარი, და რომელმაც მისცა ჩვენს ქვეყანას მაღალნიჭიერი მხატვრების შესანიშნავი პლეადა.

დარბაზში ტაში გრიალებს დაჯილდოებულთა პატივსაცემად.

თეატრის კოლექტივის სახელით სიტყვას ამბობს სსრკ-ის სახალხო არტისტი ა. ა. იაბლოჩკინა.

— უდიდესი ბედნიერებით, ნათელი სიხარულითა და სიამაყით არის აღსავსე ჩვენი გული იმ მაღალი შეფასების შეგნებით, რომელიც მოგვცა ჩვენ პარტიამ და მთავრობამ, როდესაც მცირე თეატრი ლენინის ორდენით დააჯილდოვა. ჩვენ სიტყვას ვიძლევით არა მარტო ფრთხილად დავიცვათ ჩვენი დიდი წინამორბედების რეალისტური ტრადიციები, ცხოვრებითი სიმართლე, ბუნებრივობა, სიტყვის სიყვარული, ჭეშმარიტი თეატრალობის მკაფიო ფერადები, არამედ დაუცხრომლად წავწიოთ წინ ჩვენი ხელოვნება სოციალისტური რეალიზმის გზებზე და ავსახოთ ჩვენი დიდი სტალინური ეპოქის ჰეროიკა და პათოსი. სიტყვას ვიძლევით აღვზარდოთ ჩვენი ახალგაზრდა კადრები ჩვენი თეატრის ამ ტრადიციებზე.

გთხოვთ, გადასცეთ ჩვენს მშობლიურ, უსაზღვრო საყვარელ მასწავლებელს, მამასა და მეგობარს ამხანაგ სტალინს, მთელ მთავრობას, რომ ჩვენ დაუღალავად გავიტანთ ჩვენს ხელოვნებას მასებში.

ორდენებს იღებენ აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო მსახიობები მ. მ. ბლიუმენტალ - ტამარინა, ა. ა. იაბლოჩკინა, ვ. ნ. პაშენაია, ვ. ნ. რიჟოვა, სსრ კავშირის სახალხო არტისტები პ. მ. სადოვსკი, ა. ა. ოსტუჟევი, მ. მ. კლიმოვი, რსფსრ სახალხო არტისტები ნ. კ. იაკოვლევი, მ. ს. ნაროკოვი, ნ. ა. სვეტლოვიდოვი, ნ. ფ. კოსტრომსკოი, ე. ნ. გოგოლევა, ნ. ნ. რიბნიკოვი, ე. დ. ტურჩანინოვა, მ. ფ. ლენინი, რსფსრ დამსახურებული არტისტები, მსახიობები, რეჟისორები და თეატრის მუშაკები.

ცაკის პრეზიდიუმს მოკლე სიტყვით მიმართავენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები მ. მ. ბლიუმენტალ-ტამარინა, ვ. პაშენაია, რსფსრ სახალხო არტისტი მ. ფ. ლენინი. ისინი ლაპარაკობენ იმ სასიხარულო გრძნობის შესახებ, რომლითაც მოცულია მცირე თეატრის მთელი კოლექტივი, მის ახალ შემოქმედებითს აღმავლობაზე, იმაზე, რომ ისინი მზად არიან ემსახურონ თავიანთ ხალხს ხელოვნებით, რომელმაც უნდა ასახოს სოციალიზმის ქვეყნის მძლავრი აღმაფრენა.

— ჩვენ ყოველივე ეს ღრმად გვაღელვებს. გვინდა სულით და გულით ხმამაღლა შევძახოთ „ვაშა“ სამშობლოს სადიდებლად, მის ხელმძღვანელთა სადიდებლად ბრძენი სტალინის მეთაურობით, — აცხადებს მ. ფ. ლენინი, რომლის სიტყვებსაც მთელი კრება მქუხარე ტაშით ხვდება.

წითელი არმიის მეთაურთათვის და მთელ რიგ სხვა ამხანაგთათვის ორდენების ჩაბარების შემდეგ გამოვიდა ამხ. მ. ი. კალინინი.

O

პრეზიდიუმის ამავე სხდომაზე მიღებულია სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს საერთო დადგენილებანი „სოფლის საბჭოებისა და რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტთა ანგარიშგების შეცვლის შესახებ“, „სსრ კავშირის იმ კანონმდებლობის შეცვლის შესახებ, რომელიც ეხება პროცენტულ განაკვეთებს საკრედიტო დაწესებულებათა ოპერაციებზე“, „საბინაო ქირის შესახებ, მუშურ-გლეხური მილიციის იმ უფროსთა შემადგენლობის პირთათვის, რომელთაც მიღებული აქვთ სპეციალური სახელწოდება“ და სხვ. მოისმინეს აგრეთვე სსრ კავშირის ცაკის მდივნის ამხ. გორკინის ცნობა სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს არჩევნებისათვის მზადების ზოგიერთი საკითხების შესახებ.

ამხ. კალინინის სიტყვა

— პირველ რიგში, — ამბობს მიხეილ ივანეს-ძე, მივულოცავ ჩვენს გმირებს — ამხანაგ ჩკალოვს, ბაიდუკოვს და ბელიაკოვს. ამხ. ჩკალოვმა აქ სთქვა, რომ ეკიპაჟი არ შეჩერდება მიღწეულზე, იგი გადასწყვეტს ახალ ამოცანებს. ეს ამოცანები ფრიად ბევრია, განსაკუთრებით საჰაერო ფლოტში. ჩვენს ქვეყანაში, სადაც გსურს იქ გამოიჩენ ნებისყოფას, ცოდნას და ნიჭს. სულითა და გულით ვუსურვებ სახელოვან სამეულს წარმატებას მათს ახალ წამოწყებებში **(მხურვალე ტაში).**

ამხანაგი კალინინი, მიესალმება რა მცირე თეატრის მუშაკებს, აღნიშნავს, რომ მცირე თეატრის ჯილდო შეიძლება განვიხილოთ არა მარტო თეატრის მუშაობის უშუალო შეფასების თვალსაზრისით.

— მე ვფიქრობ, — ამბობს ის, რომ ეს ჯილდო თითქოს იმის დამტკიცებას წარმოადგენს, თუ როგორ ახალგაზრდავდება ხელოვნების ოსტატთა უფროსი თაობა, როგორ უახლოვდება, უთვისდება საბჭოთა წყობილებას, შედის ამ წყობილების მებრძოლთა ლაშქარში.

— მცირე თეატრი საყვარელი თეატრი ხდება არა მარტო მოწიფულ ადამიანთათვის, არამედ ჩვენი ახალგაზრდობისთვისაც. მე მგონია, რომ ეს არის თეატრის ერთერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი (ტაში). ეს საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ თეატრი მხარდამხარ მისდევს საერთო მოძრაობას, მხარდამხარ მიჰყვება მოსახლეობის ყველაზე აქტიური ნაწილის საუკეთესო მისწრაფებებს.

— მე სულითა და გულით ვულოცავ როგორც მცირე თეატრს მთლიანად, ისე მის დაჯილდოვებულ მსახიობთაც **(ტაში).**

მცირე თეატრის უფროსი თაობა მეტწილად ძველი მსოფლიოს უარყოფითი მხარეების კრიტიკულ დახატვაზე აღიზარდა. მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ.

ჩვენი საბჭოთა წყობილება ხომ ძველი წყობილების სრული წინააღმდეგობაა. ჩვენს პირობებში მილიონობით ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტურ მშენებლობაში, პოლიტიკურ ღონისძიებებში. ჩვენი ქვეყნის ადამიანებს ახასიათებს მისწრაფება, სურვილი, წყურვილი, იმისა, რომ აკეთონ დიდი საქმეები, მონაწილეობა მიიღონ უდიდეს მშენებლობაში. ეს წყურვილი გამოსჭვივის აურაცხელ სახეებსა და ფორმებში. დღეს წავიკითხე პიონერის წერილი ამხ. ეჟოვისადმი. ამ წერილში იგი სთხოვს ამხ. ეჟოვს ჩარიცხოს ის მესაზღვრე ჯარებში და ეუბნება მას — „მინდა გმირი ვიყოო“. ეს წერილი შემთხვევითი რამ კი არ არის. ეს წერილი არის გამომხატველი მასების მისწრაფებისა გმირობისადმი, იმის გამომხატველი, რომ მათ უყვართ თავიანთი სოციალისტური სამშობლო, და თავდადებული არიან მისთვის.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში გიგანტური მშენებლობა სწარმოებს და ის განსაკუთრებული გმირობა, რომელიც გამომჟღავნებულია ამ სტრიქონში, დიდებულ სურათს ჰქმნის. რომ ავიღოთ ყოველი ცალკეული საქმე, — იგი მეტად პრაქტიკულია, მეტად მატერიალურია. მაგრამ მასში ჩანერგილია ფრიადმაღალი იდეალები, რომლებიც ღრმად სწვდებიან ადამიანის გულს. ეს იდეალები აკეთილშობილებენ ყველას მუშაობას, დაწყებული კოლმეურნით და გათავებული მხატვრით. ამჟამად კოლმეურნეს, რომელმაც ზედმეტი ცენტნერი პური მოიწია, ეს მიაჩნია გმირულ საქმედ, სახელმწიფო საქმედ, იმიტომ რომ იგი თავის მუშაობას ჩვენს საერთო საქმეს უკავშირებს, ჩვენი იდეალები სჭვალავს მას, იგი ჰფიქრობს — და სავსებით სწორად, — რომ ამით ამდენითა და ამდენით გამაგრა კომუნიზმი. აი რატომ ლაპარაკობს ის სიამაყით თავისი მუშაობის შესახებ.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ რეალისტური მიმართულება, რაც ტრადიციულია მცირე თეატრისათვის, გამდიდრებული სოციალისტური რევოლუციის 20 წლის გამოცდილებით, გამდიდრებული კომუნიზმის უდიდესი გავრცელებით, მომავალში საშუალებას მოგცემთ თქვენ უფრო მეტად გაშალოთ დიდი შემოქმედებითი ძალები. **(მქუხარე ტაში. დაჯილდოებულნი მხურვალე ოვაციას მართავენ პარტიისა და მთავრობის პატივსაცემად, ამხანაგ სტალინის პატივსაცემად).**

◆

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1937/38 წ. სეზონი

1 და 2 ოქტომბერს
წარმოდგენა 1 და 2
სეზონის გახსნა
პრემიერა
ვილიამ შექსპირი
ოტელო
ხუთმოქმედებიანი ტრაგედია ცხრა სურათად. ივანე მაჩაბლის თარგმანი ინგლისურიდან.
დადგმა შ. აღსაბაძისა (ხელ. დამს. მოღვ., ორდენოსანი).
დეკორაცია და კოსტუმები მხ. ირ. გამრეკელისა (ხელ. დამს. მოღვ., ორდენოსანი).
მუსიკა ი. ტუსკიასი (ხელ. დამს. მოღვ., ორდენოსანი).
ელმშენებულებით შეძენილი მუდმივი ადგილების დარიგება დაიწყება 26 სექტემბრიდან თეატრის სალაროში საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე. ბილეთების მისაღებად საჭიროა ცნობები გადასახადის გადახდის შესახებ და მინდობილობის ბარათი.
დასაწყისი 8 საათზე. 50 4—4

მარჯანიშვილის სახ. თეატრი
1937—1938 წ. სეზონის გახსნა
2, 3 და 4 ოქტომბერს (წარმ. № 1, 2, 3)
ბომარშე პრემიერა
ფიგაროს ქორწინება
კომედია 5 მოქმედებად თარგმანი ი. გრიშაშვილისა და მარიჯანისა
დადგმა—ვახო ყუშიტაშვილისა.
მხატვრები: { ე. ახვლედიანი (ორდენოსანი) ნ. ყაზბეგი
მონაწილეობენ:
(ანბანის მიხედვით)
ვ. ანჯაფარიძე (რესპ. დამსახ. არტისტი), ტ. აბაშიძე (რესპ. დამსახ. არტისტი), ნ. ანთაძე, ნ. გოცირიძე (რესპ. სახალხო არტ., ორდენოსანი), ვ. გოძიაშვილი, შ. გომელაური, ვ. გვინიძე, ქ. დოლიძე, ს. თაყაიშვილი, კ. კვანტალიანი, მ. კოკაია, ვ. ლეჟავა, ი. მათიაშვილი, შ. პირველი, მ. სულთანიშვილი, ე. ყირმელაშვილი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
მოზარდები 16 წლამდე არ დაიშვებიან, მოსწავლეებმა თან უნდა იქონიონ პირადობის მოწმობა. 150

ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
22 სექტემბრიდან გაიცემა მუდმივი ადგილების ბილეთები. მიმღებმა უნდა წარმოადგინოს: 1) ფულის გადარიცხვის საბუთები თანახმად ხელშეკრულებისა, 2) დაწესებულების მინდობილობა. ბილეთები მიიღება თეატრის სალაროში ყოველ დღე 11—7 საათ.
51 2—2 დირექცია.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა პროფორგანიზაცია ა. წ. 2 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, იწვევს
საანგარიშო-საარჩევნო კრებას
შემდეგი დღის-წესრიგით:
1) პროფკომის ანგარიში (მომხს. ს. საყვარელიძე).
2) სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხს. ვლ. ლეჟავა).
3) არჩევნები.
კრება გაიხსნება ვოროშილოვის სახელობის საზაფხულო კლუბში (კომინტერნის ქ. № 5).
კავშირის წევრ ყველა სტუდენტის დასწრება სავალდებულოა.
შესვლა კავშირის წიგნაკით და უწყებით.
თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის პროფკომის თავმჯდომარე ს. საყვარელიძე.
1246

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის— 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 3—8345